ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 16 – 17 იანვარი, 2016 | №12 (6938) | ფასი: 50 თეთრი

## ევროპა გერმანიის გარეშე


გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.01 | ასტონ ვილა-ლესტერი | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 16.01 | ატალანტა-ინტერი | 3.6 | 3.25 | 2.1 |
| 16.01 | ბორდო-ლილი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 17.01 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 17.01 | სტოკი-არსენალი | 4.2 | 3.4 | 1.91 |
| 17.01 | ბარსელონა-ბილბაო | 1.15 | 7.5 | 17.0 |
| 17.01 | ლას პალმასი-ატლეტიკო | 7.0 | 3.6 | 1.57 |
| 17.01 | უდინეზე-იუვენტუსი | 6.5 | 3.8 | 1.55 |
| 17.01 | მილანი-ფიორენტინა | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 17.01 | სტ.ეტიენი-ლიონი | 2.62 | 3.25 | 2.7 |

# კახა კუკავა: „რესპუბლიკელები „ქართული ოცნების“ ლეღვის ფოთოლია“


გვ.2

## მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობას არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ მივცემ“


გვ.5

„სააკაშვილი წინასაარჩევნოდ მეგაპროვოკაციებს აპირებს“

## „ივანიშვილს ორი მთავრობა ჰყავს“


გვ.3

რესპუბლიკური პარტია

## ომარ ნიშნიანიძე: „ვინც კოალიციიდან წავა, საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს“

„ღარიბაშვილი კვლავ რჩება „ქართული ოცნების“ ლიდერად“

## „თბილისის საკრებულო უსაქმურებით არის სავსე“

გვ.5

ლევან ხაბეიშვილი: „მერია და გამგეობები რესპუბლიკელებსა და ფორუმელებს ჩაგრავენ“




გვ.2

## მანანა ნაჭყებია: „კვირიკაშვილს დემოკრატია ღარიბაშვილზე უკეთ ესმის“


გვ.5

## ვახტანგ მაისაია: „რუს სამხედროებს პუტინის ჩამოგდება უნდოდათ“

„ცხინვალში დაწყებული წვრთნები დაკავშირებულია გაზპრომთან მოლაპარაკებასთან“

## ლადო პაპავა: „თუ საქართველო გაზპრომის წინადადებებს დათანხმდება, ეს დანაშაული იქნება“


გვ.6

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კახა კუკავა: „რესპუბლიკელები „ქართული ოცნების“ ლეღვის ფოთოლია“






ნონა ცაბაძე



პრემიერი კვირიკაშვილი მზად არის ოპოზიციასთან შესახვედრად.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა აცხადებს, რომ შეხვედრის შედეგების პროგნოზირება რთულია.

– კვირიკაშვილი მართლაც დადებითი პიროვნებაა და დარწმუნებული ვარ, მისი გადასაწყვეტი რომ იყოს, ის აუცილებლად წამოვიდოდა საარჩევნო რეფორმაზეც, სასამართლო რეფორმაზე და სხვა საკითხებზეც დათანხმდებოდა კომპრომისს, – განაცხადა კახა კუკავამ „ახალ თაობასთან“ საუბრისას.

***– აბა ვისი გადასაწყვეტია?***

– ჩვენ 14 იანვრის საღამოსაც ხომ ვაკვირდებოდით პროცესებს, თუ ვისგან იმართება საქართველო. დონ კორლეონემ შეკრიბა გურამიშვილის მარანში მთელი პარლამენტი და მთავრობა და იქ გაურჩია საქმეები.

***– უმრავლესობა საუბრობს, რომ ახალი წელი მიულოცეს ერთმანეთს.***

– ვისაც ნანახი აქვს ფილმი ნათლია, იქაც ზუსტად ასე ხდება. იქაც ულოცავენ ნათლიას მისი ხელქვეითები ახალ წელს. თუმცა, რა მოლოცვებსაც ეხება საქმე, ყველამ კარგად ვიცით! სამარცხვინოა უკვე ის, რაც ყოველდღიურად ხდება.

***– რა არის სამარცხვინო?***

– ის, რომ თბილისის ვიცე-მერად დაინიშნა ქართუ ბანკის მენეჯერი. ყველა წამყვან პოზიციებზე ინიშნებიან ქართუ ბანკის მენეჯერები. ეს ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილს ჰყავს ორი მთავრობა.

***– ანუ?***

– ერთია ფორმალური მთავრობა, სხვების დასანახად, მაგალითად, უსუფაშვილი. მეორეა პრემიერ-მინისტრი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, ეკონომიკის მინისტრი, უშიშროების სამსახურის უფროსი და ახლა უკვე თბილისის ვიცე-მერიც. ყველა საკვანძო თანამდებობაზე ჰყავს ქართუ ბანკის მენეჯერები. ის ქვეყანას მართავს საკუთარი აპარატის მეშვეობით.

მსგავსი ოლიგარქიული სისტემა არ დასიზმრებიათ სამხრეთ ამერიკელ და ტაილანდელ ოლიგარქებსაც კი. საქმე გვაქვს მძიმე შემთხვევასთან. ყველაფერს ერთი კაცი განაგებს. ეს იქნება საქართველოს ისტორიაში ერთი სამარცხვინო და შავი ფურცელი. 21-ე საუკუნეში ამ ტიპის ვირუსი ძალიან იშვიათია.

## „ივანიშვილს ორი მთავრობა ჰყავს“

***– ასევე საუბარია, რომ სიებთან დაკავშირებით დაძაბულობა პიკს აღწევს, ამ საკითხზე ვერ თანხმდებიან კოალიციაში.***

– ეს ჩვეულებრივი ამბავია. ახლა ბევრად უფრო ნაკლები გავა, ვიდრე გავიდა 2012 წელს, მაშინ სხვა სიტუაცია იყო. ხომ იცით, კარგმა ცხოვრებამ შეჩვევა იცის და ახლა მიმდინარეობს ამ წილების გადანაწილება.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ოცნებას“ ცნობილი სახეების დეფიციტი აქვს, ისინი უარს ამბობენ ოცნებასთან ურთიერთობაზე.***

– სამწუხაროდ, საქართველოში ცნობილი ადამიანები, ვინც რაიმე შეთავაზებაზე უარს ამბობა, ძალიან ცოტა ვიცი. თითქმის არავინ მახსენდება. რადგან 2012 წელს ყველა იყიდა ბიძინა ივანიშვილმა. შესაძლოა, ისინი პრინციპულობის გამო კი არ ამბობენ უარს, არამედ ცუდი ტონი გახდა საზოგადოებაში „ქართული ოცნების“ მომხრეობა. ეს კი ყოველთვის ხელს უწყობს ხელისუფლების დამხობას.

***– ამ ხელისუფლებას დამხობას უწინასწარმეტყველებთ?***

– ყველა ხელისუფლების შემთხვევაში ასე იყო. ხელისუფლების დამხობამდე ორი წლით ადრე, ამ პროცესს წინ უსწრებს ხოლმე ხელისუფლების იმიჯის სრული დისკრედიტაცია და ჩვენ ახლა ამ ეტაპზე ვართ. დღეს ივანიშვილი სრულად დისკრედიტირებულია. ამიტომ განათლებული ადამიანებისთვის დღეს ივანიშვილთან ურთიერთობა ცუდ ტონად ითვლება.

***– რატომ ითვლება ცუდ ტონად?***

– იმიტომ, რომ დღეს ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ არის გაუნათლებლობის, ჩამორჩენილობის, კორუფციის და ნეპოტიზმის სიმბოლო.

***– მოხდება სიების გადახალისება?***

– რა თქმა უნდა, ბევრი მათგანი ველარ მოხვდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ „ოცნებას“ აღარ ეყოლება 70 და 80 დეპუტატი პარლამენტში. ამას დაემატება ის გარემოებაც, რომ წინა არჩევნები იყო არჩევანი სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის. დღეს კი სრულიად სხვა მოცემულობაა.

***– რეალურად რა შეიცვლება?***

– „ქართულ ოცნებაში“ ხარისხობრივად და რეალურად ვერაფერი შეიცვლება, აქ არის სიცილიური მმართველობის სისტემა და ამ საკითხში ცვლილებების განხორციელებას ვერ ვხედავთ. ამაზე პროტესტი არ აქვს არავის. ყველაზე სოლიდური ამ კოალიციაში არის რესპუბლიკურ პარტია და პროტესტი მასაც არ გააჩნია.

***– რატომ?***

– რესპუბლიკელები დღეს ჩიხში არიან. არ ვიცი, თავად მოიმწყვდიეს თავი თუ ივანიშვილმა მოამწყვდია, მაგრამ პროტესტი რომ განაცხადონ რესპუბლიკელებმა, ეს ნიშნავს, რომ უნდა გამოემშვიდობონ ძალიან კარგ ცხოვრებას, რომელსაც შეეჩვივნენ სამი წლის მანძილზე. ისინი ვერასდროს თავისი პროგრამით და ამომრჩევლებით პარლამენტის თავმჯდომარეობაზე კი არა, უბრალო წევრობაზეც ვერ იოცნებებდნენ.

***– კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ შესაძლოა რესპუბლიკელები სიაში საერთოდ ველარ მოხვდნენ.***

– არ მგონია, ასე იყოს. ეს კომენტარები ეკუთვნის „ქართული ოცნების“ იმ ერთ ჯგუფს, რომელიც გადაწყვეტილებებს ვერ იღებს და უბრალოდ გულს იფხანს. რესპუბლიკელები ძალიან სჭირდება კოალიციას. მართალია, ამ პარტიას არც რეიტინგი აქვს და არც ხალხის მხარდაჭერა, მაგრამ სწორედ ისინი ასრულებენ ლეღვის ფოთლის ფუნქციას კოალიციაში.

***– ანუ?***

– როდესაც უცხოური დელეგაცია ჩამოდის, მათ ან ლევან ბერძენიშვილი უნდა ანახონ, ან დავით უსუფაშვილი. აბა ვის შეახვედრებენ, გუგული მაღრაძეს თუ მანანა კობახიძეს?! ამიტომ ამ პარტიამ სწორედ ეს ფუნქცია შეიძინა ამ კოალიციაში. დანარჩენები კი ცივილიზებულ საზოგადოებაში სიცილს იწვევენ. ამიტომ ივანიშვილი რესპუბლიკურ პარტიას ვერაფრით შეელევა.

ამას გრძნობენ რესპუბლიკელებიც და ბაზარზე საკუთარ ფასს მაქსიმალურად უმატებენ. სწორედ ეს იწვევს დანარჩენების გაღიზიანებას და იმ კომენტარებს, რომლებსაც შეცდომაში შეყავხართ.

# მანანა ნაჭყებია: „კვირიკაშვილს დემოკრატია ღარიბაშვილზე უკეთ ესმის“

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია



„ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ბევრად უფრო თავისუფალი და დემოკრატიული იქნება.

მანანა ნაჭყებია:

– სამი წლის მანძილზე ირაკლი ღარიბაშვილმა ამ საზოგადოების ყველა სეგმენტთან მოიჭრა მისასვლელი გზა. გიორგი კვირიკაშვილი ღარიბაშვილისგან მკვეთრად განსხვავდება, ბევრად უფრო კომუნიკაბელურია და ბევრად გახსნილია ურთიერთობისთვის ყველა ინსტიტუციასთან, მათ შორის, ოპოზიციასთან.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– ძალიან სწრაფად გამოეხმაურა ოპოზიციის წინადადებებსა და შეთავაზებას. ჩვენ მოვითხოვეთ ახალ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა და ის თანახმაა, ასეთი შეხვედრა შედგეს. სამი წლის განმავლობაში ირაკლი ღარიბაშვილმა ვერც ერთი წუთი ვერ გამონახა, რომ ოპოზიციას შეხვედროდა. ეს მაძლევს იმედს, რომ კვირიკაშვილი ჩვენთან ურთიერთობაში განსხვავებულ ტაქტიკას აირჩევს. ზოგადად დემოკრატიის საკითხებში კვირიკაშვილი უფრო ერკვევა, ვიდრე ღარიბაშვილი, ეს აშკარაა.

***– მოასწრებს ის არჩევნებამდე კვალის დატოვებას?***

– იმედი მაქვს, რომ ეს მას ძალიან უნდა. დიდი დრო არის დაკარგული საიმისოდ, რომ მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებები ახლა შესრულდეს. ამიტომ შეიძლება ამ 9 თვეში ამ დაპირებების შესრულება ვერ მოახერხოს, ასევე შეიძლება „ქართული ოცნების“ რეიტინგმა ვერ მიაღწიოს იმ ნიშნულს, რომელიც უზრუნველყოფს კვლავ ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლას, მაგრამ ეს მაინც არის პროცესი, რომლითაც უნდა მივიდეთ არჩევნებამდე.

***– ოპოზიციას რა შანსები აქვს ამ არჩევნებზე?***

– 2016 წლის არჩევნები ბევრად თავისუფალი და დემოკრატიული უნდა იყოს. საარჩევნო გარემო იქნება დღის წესრიგში მანამ, სანამ ჩვენ საწადელს არ მივაღწევთ. ეს იქნება არჩევნები, სადაც თანაბარი შანსი ექნება ყველას, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ არ შეცვალა საარჩევნო გარემო, სისტემა, დაიტოვა ყველა ბერკეტი. ამ არჩევნებს გამოკვეთილი ლიდერი არ ეყოლება, ეს ძალიან კარგია. ვფიქრობ, ჩვენ გვექნება პირველად მრავალპარტიული არჩევნები, თუ რადიკალური ცვლილებები არ მოხდა ქვეყანაში.

***– რას გულისხმობთ?***

– თუ პროცესები უფრო არ დამძიმდა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები მაინც იქნება ყველაზე უფრო დაბალანსებული, რადგან ჩვენ მესია არ გვეყოლება და მესიის მოლოდინში არ ვიქნებით.

***– „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით შეძლებს ამ არჩევნებში გამარჯვებას?***

– მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ყველა ის ბერკეტი დაიტოვა, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა, მაინც მგონია, რომ არათუ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება, მთავრობის დასაკომპლექტებელი უმრავლესობის მოპოვებაც გაუჭირდება.

# ქუჩაში მყოფი და მომუშავე ბავშვების უფლებებს სახელმწიფო დაიცავს



ქუჩაში მყოფი და მომუშავე ბავშვების უფლებებს სახელმწიფო დაიცავს. შესაბამისი კანონპროექტი იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა და ის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე დამტკიცდა.

როგორც ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა, კანონპროექტით შემოდის სტატუსი „მიუსაფარი ბავშვი“, რომელზეც მთელი რიგი საჯარო სერვისი იქნება მიბმული.

**თეა წულუკიანი:**

– ჩვენი ყველას – სახელმწიფოს და საზოგადოების ტკივილია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. ყველა ბავშვს აქვს განვითარების უფლება, ამიტომაც პარტნიორ ორგანიზაციებსა და კოლეგა სამინისტროებთან ერთად შევიმუშავეთ ცვლილებების პაკეტი, რომელიც მთავრობამ დღეს ერთხმად დაამტკიცა და რომელიც ემსახურება ქუჩაში მყოფი და მომუშავე ბავშვების უკეთესად დაცვას.

პირველი ცვლილების მიხედვით საქართველოს კანონში შემოვა ახალი ცნება – „მიუსაფარი ბავშვი“, ამ სტატუსზე კი მიბმული იქნება მთელი რიგი საჯარო სერვისებისა. მაგალითად, დღეს თქვენ იცით, რომ ამგვარი ბავშვები ვერ იღებენ საბუთებს, ვერ ხდება მათი იდენტიფიკაცია თუ საიდან მოდიან, ვინ არიან, რომელი ქვეყნიდან შემოვიდნენ და არიან თუ არა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები და აქ დაბადებულნი, იმიტომ რომ მათ იდენტიფიცკაციაზე პასუხისმგებელი სრულწლოვანი პირები ჩვენ არ მოგვმართავენ და რეალურად ეს ბავშვები რჩებიან იდენტიფიკაციის პროცესის მიღმა.

ამ რეფორმის შედეგად ჩვენ მივცემთ მზრუნველობის ორგანოებს ანუ სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროსადმი მომართვის უფლებას და ეს საკითხი აღარ იქნება მშობელზე ან სხვა კანონიერ წარმომადგენელზე დამოკიდებული.

მისივე განმარტებით, კანონპროექტით ასევე ფართოვდება სოციალური მუშაკის უფლებამოსილება.

– სოციალურ მუშაკს ამ რეფორმით მიეცემა საშუალება უგულვებელყოფის ან ძალადობის შემთხვევაში უკიდურესი ზომის სახით დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის აგრესორისგან განცალკევების შესახებ, რომლის გასაჩივრებაც, რა თქმა უნდა,შესაძლებელი იქნება სასამართლოს ორი ინსტანციის წინაშე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა მყისიერად და განცალკევება მოხდება მაშინვე.

ჩვენ გვინდა, რომ სოციალური სამუშაო განვითარდეს საქართველოში და ის უკეთესად მომსახუროს ქუჩაში მყოფი ბავშვის უფლებებს, რომელთა საბოლოო მომავალი, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს ქუჩასთან დაკავშირებული, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ომარ ნიშნიანიძე: „ვინც კოალიციიდან წავა, საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს“

## „ღარიბაშვილი კვლავ რჩება „ქართული ოცნების“ ლიდერად“

შორენა მარსაგიშვილი





რაზე მოელაპარაკა ივანიშვილი „ქართული ოცნების" წევრებს, რატომ არ მივიდნენ მარანში გამართულ შეხვედრაზე უსუფაშვილი და კალაძე, რა გადაწყდა ღარიბაშვილთან დაკავშირებით, იქნება თუ არა სპორტსმენების და მსახიობების ბუნტი, წავა თუ არა ვინმე კოალიციიდან? – ამის შესახებ „ახალ თაობას" საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.

***– 14 იანვარს საღამოს „ქართული ოცნების“ დეპუტატები დახურულ კარს მიღმა, ჭავჭავაძეების მარანში შეხვდით ბიძინა ივანიშვილს. ეს შეხვედრა კოალიციაში არსებულ დაპირისპირებას უკავშირდებოდა?***

– არა, ამ შეხვედრაზე აღვნიშნეთ ძველით ახალი წელი. მივულოცეთ და მივეფერეთ ერთმანეთს. ძალიან თბილი და ლამაზი საღამო გამოვიდა, რომელსაც სრულიად აპოლიტიკური ხასიათი ჰქონდა.

***– პოლიტიკაზე საერთოდ არ გისაუბრიათ?***

– პოლიტიკაში ვართ და პოლიტიკაზე საუბარს გვერდს ვერ ავუვლიდით, მაგრამ რაიმე კონკრეტულზე არ ყოფილა საუბარი. ეს საუბრები ალბათ სხვა დროს იქნება.

***– მომავალშიც აპირებთ ივანიშვილთან შეხვედრას?***

– რა თქმა უნდა. იმ შეხვედრაზე მხოლოდ პოლიტიკაზე იქნება საუბარი. არჩევნები მოდის და რაღაც-რაღაც საკითხები უნდა გადავწყვიტოთ.

***– როდის შედგება პოლიტიკური შეხვედრა?***

– ჩემი სურვილია, რომ ასეთი შეხვედრა რაც შეიძლება მალე გაიმართოს. დასახელდება თარიღი და შევხვდებით. საგურამოში გამართულ საღამოზე ამაზე არაფერი თქმულა.

მე არ მიყვარს რამის დამალვა და გეტყვით, რომ ამ შეხვედრაზე მხოლოდ ის ითქვა, რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შერჩევა მიმდინარეობს. ეს სიახლე არ ყოფილა, რადგან ამ თემაზე საუბარი ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე დაიწყო.

***– თუ დასახელდა, ვინ სად იქნება?***

– არა, ჯერ ამის შესახებ არაფერი თქმულა.

***– ამ შეხვედრაზე სპორტსმენების და მსახიობების საკითხი თუ იქნა განხილული? ირაკლი კობახიძის განცხადებამ, რომ საარჩევნო სიაში მათი ადგილი აღარ იქნება, ეს ადამიანები ძალიან გააბრაზა.***

– ამ თემაზე საუბარს გვერდს ნამდვილად ვერ ავუვლიდით. ჩვენი კოლეგები ძალიან იყვნენ გაცხარებული. ბიძინა ივანიშვილი მათ მოეფერა და დააწყნარა. უთხრა, რომ სიის დაკომპლექტება პროფესიების მიხედვით არ მოხდებოდა.

ივანიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ისინი ავტორიტეტები არიან, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, არჩევნებზე ამხელა შედეგს ვერ დავდებდით და ისეთ მონსტრს ვერ მოვერეოდით, როგორიც სააკაშვილია. არჩევნების დროს და მის წინა პერიოდშიც მათ მარტო საკუთარი თავი კი არა, ოჯახების სიცოცხლეც სასწორზე დადეს. ამის დავიწყება არ შეიძლება.

შეიძლება მათთან დაკავშირებით ვიღაცას რაღაცა წასცდა. დარწმუნებული ვარ. ირაკლი კობახიძეს ეს ახალგაზრდობით მოუვიდა, მაგრამ მანაც დაიხია უკან და უნდა ვაპატიოთ. აწი ისწავლის ზომიერად ლაპარაკს. ვიმეორებ, ჩვენი სპორტსმენები და მსახიობები ძალიან ღირსეული ხალხია და მათი დაკარგვა კარგი არ იქნება. ამას ყველანი კარგად ვხვდებით და რამდენადაც მე ვიცი, ისინი ჩვენ გვერდით დარჩებიან.

***– აბა, ტყუილად ელოდნენ სხვა პარტიები, რომ ისინი მათთან გადანაწილდებოდნენ?***

– ნამდვილად ტყუილად ელოდებიან. ბატონმა ბიძინამ იმ შეხვედრაზე დაბეჯითებით თქვა, რომ გუნდიდან გასაშვებად არავინ ემეტება. ვიღაცა თავად თუ მოინდომებს წასვლას, ცხადია, ძალით არავინ დააკავებს.

***– გუნდიდან არავის გაშვება არ უნდა და ყველას დატოვებს საარჩევნო სიაში?***

– ასე არ მოხდება, საარჩევნო სიას გადახალისება სჭირდება. ზოგი პარლამენტში დარჩება, ზოგი აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლებს. ივანიშვილმა გვითხრა, ჩვენ თანამებრძოლები ვართ და ბოლომდე ასე დავრჩებითო. ყველას გვერდში დგომას დაგვპირდა და ამაზე მეტი რაღა უნდა ეთქვა ადამიანს. შეხვედრით ყველა კმაყოფილი დარჩა. თავისი სათქმელი ყველამ თქვა, თუ ვინმეს გულში ხინჯი ჰქონდა, ამაზეც ითქვა.

***– როცა გითხრათ, გასაშვებად არავინ მემეტებითო, მხედველობაში კოალიციის წევრები ჰყავდა თუ მხოლოდ ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებზე საუბრობდა?***

– ამ შეხვედრაზე საუბარი მხოლოდ ჩვენს ფრაქციაზე იყო. შეხვედრასაც მხოლოდ ფრაქციის წევრები ვესწრებოდით. ასეთი რამე პირველად მოხდა. სხვა დროს ბატონ ბიძინას მთელი კოალიცია ვხვდებოდით.

***– მარტო შეხვედრა რატომ ვერ მოახერხეთ, თუ ამის სურვილი არ გქონიათ?***

– სულ გვინდოდა, რომ ცალკე შევხვედროდით ივანიშვილს, ის უფრო ჩვენიანია და მასთან პირისპირ გვინდოდა საუბარი. აქამდე ეს რატომღაც არ გამოვიდა, ახლა მოვახერხეთ და შეხვედრით კმაყოფილები ვართ. გაგვიხარდა, რომ ამ შეხვედრას ირაკლი ღარიბაშვილიც ესწრებოდა. იქ იყო მოქმედი პრემიერიც. მოკლედ, სულ ჩვენიანები ვიყავით.

***– ახლა მარტო თქვენი ფრაქცია რომ შეხვდით, კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებს არ ეწყინებოდათ?***

– გულისწყვეტა შესაძლოა ყოფილიყო, მაგრამ არა მგონია, ვინმეს სწყენოდა. უნდა თუ არა ვინმეს, უხარიათ თუ არ უხარიათ, ფაქტი ერთია – ამ კოალიციაში წამყვანი ძალა ფრაქცია „ქართული ოცნებაა“. ივანიშვილიც ჩვენიანია და პირველ რიგში ჩვენთან უნდა გარკვეულიყო რაღაც-რაღაც საკითხები. არ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ შეხვედრები კვლავ კოალიციურ რეჟიმში გაიმართოს.

***– ივანიშვილის გვერდზე ღარი-***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## დავით ნარმანია: „მერიაში საკადრო ცვლილებები არ იგეგმება“



დედაქალაქის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისის მერიაში საკადრო ცვლილებები არ იგეგმება.

ამის შესახებ ნარმანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მან ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა, ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილედ გადაიყვანონ.

დავით ნარმანია:

– რაიმე სახის საკადრო ცვლილებები თბილისის მერიაში დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, დღეს გავრცელებული ინფორმაცია არ დასტურდება. რაიმე სახის არც შიდა განხილვა და არც კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვქონია, – განაცხადა ნარმანიამ.

**ნიუსპრესი**

## ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ წევრებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ან მის ბიზნესში დასაქმებას დაპირდა

ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატი თემურ ჭკუასელი ადასტურებს, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საგურამოს კორპორატიულ შეკრებაზე საპარლამენტო სიის შედგენასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

კერძოდ, როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ივანიშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტის ის წევრები, რომლებიც საარჩევნო სიაში ვერ მოხვდებიან, გადაინაცვლებენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სსიპ-ებში, ან დაინტერესების შემთხვევაში, მასთან ბიზნესში.

– ისიც გაკვრით ითქვა, რომ ქვეყნისთვის გასაკეთებელი ბევრია. სხვა სახის არანაირი პოლიტიკური განცხადებები არ ყოფილა. იქ სადაც თამადა მე ვარ, სიმღერა და ხუმრობაა, – აღნიშნა თემურ ჭკუასელმა.

ამასთან, დეპუტატის ცნობით, გუშინდელი შეხვედრა პირადად მან ფრაქციის თავმჯდომარე გია ვოლსკისთან ერთად დაგეგმა. ჭკუასელის განმარტებით, თავიდანვე გამოითქვა სურვილი, რომ ყოფილიყო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრების შეკრება ყოფილ და მოქმედ პრემიერებთან ერთად.

**ინტერპრესნიუსი**

## დიმიტრი ქუმსიშვილი: „ყველანი ვრჩებით იქ, სადაც ვართ“



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, დიმიტრი ქუმსიშვილი მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს.

ქუმსიშვილის თქმით, ყველა იმ თანამდებობაზე დარჩება, სადაც ამჟამად მუშაობს.

**დიმიტრი ქუმსიშვილი:**

– ჩემს მოადგილედ თბილისის მერის მოადგილე ლაშა აბაშიძე არ დაინიშნება, მეც არ გადავინაცვლებ ფინანსთა სამინისტროში და ყველანი იქ დავრჩებით, სადაც ვართ.

**ნიუსპრესი**

## გიგი უგულავა: „მე და ლელამ გაშორება გადავწყვიტეთ“

პატიმრობაში მყოფი თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა მეუღლეს, ლელა კილაძეს დაშორდა.

ამის შესახებ უგულავა სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს და აცხადებს, რომ გადაწყვეტილება ერთად მიიღეს.

– მე არ მჩვევია და არც მიყვარს პირად ცხოვრებაზე საჯაროდ საუბარი. ამჯერად გამონაკლისს დავუშვებ, იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ბულვარული და ყვითელი მითქმა-მოთქმა.

მოკლედ, მე და ლელამ 6 წლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ, გაშორება გადავწყვიტეთ. ეს გადაწყვეტილება დიდი ხანი მწიფდებოდა და ურთიერთშეთანხმებით მივიღეთ.

ასე რომ, ნურც მე და ნურც მას ნუ დაგვძრახავთ, ჩვენო საერთო მეგობრებო! ჩვენ, ჩვენი ბავშვების გარდა, საერთო შვილი ალექსანდრე გვყავს, რომელზე ზრუნვა გაგვაერთიანებს, – წერს უგულავა.

გავრცელებული ინფორმაციით, გიგი უგულავა პირველ ცოლს სწორედ ლელა კილაძის გამო დაშორდა.

**ნიუსპრესი**




სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვახტანგ მაისაია: „რუს სამხედროებს პუტინის ჩამოგდება უნდოდათ“

გულიკო ბალაძე

**რატომ ითხოვს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სირიის კრიზისთან დაკავშირებით მსოფლიო კოალიციის შექმნას, რას უკავშირდებოდა რუსეთში ოთხი გენერლის საეჭვო ვითარებაში დაღუპვა და რატომ დაიწყო ცხინვალში სამხედრო წვრთნები?**

ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია ესაუბრა.

***– ბატონო ვახტანგ, პუტინი სირიის კრიზისთან დაკავშირებით საერთაშორისო კოალიციის შექმნას მოითხოვს. რუსეთს მარტო ბრძოლა გაუჭირდა? თავიდან დიდი ენთუზიაზმით დაიწყო დაბომბვები.***

– რეალობას ხედავს, მისი საჰაერო ღონისძიებები არაეფექტურობის ელემენტს ქმნის. ამის თაობაზე რუსეთში არა მარტო ექსპერტები, არამედ სამხედროებიც წერენ. მაგალითად, ჟურნალ „ექსპერტშიც“, რომელიც რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს და პუტინისეული ტიპის ჟურნალია, დაიბეჭდა სტატია, სადაც რუსეთის სამხედრო ოპერაცია სირიაში არაეფექტურად შეფასდა და კითხვებს სვამენ.

***– ახლახან ვიხილეთ კადრები, გარკვეული ქალაქები როგორ აქვთ ბლოკირებული სირიის სამთავრობო ძალებს და როგორ შიმშილობენ ადამიანები, მათ შორის ბავშვები. პუტინს პასუხისმგებლობის თავიდან აცილება ხომ არ სურს ამ ჰუმანიტარულ კატასტროფაზე, რადგან სირიის სამთავრობო ძალებს ის მფარველობს?***

– პუტინის პასუხისმგებლობის ელემენტებსაც შეიცავს და რუსეთში მძიმე ეკონომიკური ვითარებაც არის. რუბლის დაცემამ დიდი ეკონომიკური სირთულეები შექმნა. სირიაში სამხედრო ოპერაციის ჩატარებაც ძვირადღირებულია. თითო ოპერაცია 4 მილიონი დოლარი ჯდება.

იმ ფონზე, როცა ნავთობზე ფასები კატასტროფულად დაეცა და ვარდნის ტემპი არ ნელდება, გაზპრომის გააქტიურებაც შეიძლება ამას უკავშირდებოდეს. რუსეთი ცდილობს, გაზის ფასების მეშვეობით მოახდინოს კომპენსაცია.



***– ანუ საქართველოსთან გაზის საკითხზე მოლაპარაკებები რუსეთში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდება?***

– არ გამოვრიცხავ, ერთ-ერთი ფაქტორი ესეც იყოს.

***– რუსეთი გაზის ფასით ცდილობს მანიპულირებას?***

– დიახ. რუსეთის ეკონომიკა მიბმულია ნავთობზე, მაგრამ პუტინმა შეძლო გაზით მოეხდინა დივერსიფიკაცია.

***– რით შეიძლება გაამართლოს პუტინმა ასადის პოლიტიკის შედეგი – ოთხი ქალაქის ბლოკადის შედეგად გამოწვეული ჰუმანიტარული კატასტროფა?***

– არაფრით. სამოქალაქო ომი მიდის. სირიაში მხოლოდ ასადი არ ომობს, იქ 14 ისლამისტური დაჯგუფებაა. იქ ომობს სირიის თავისუფალი არმია, ქურთებიც აქტიურად არიან ჩართულები. ვინ ვის ურტყამს და ვინ ვის ეომება, გაურკვეველია. დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც გარედან არიან ჩარეულები, თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვთ. პუტინი ასადის რეჟიმს არაფრის დიდებით არ გაწირავს. ერთადერთი ასადია მისი სტრატეგიული მოკავშირე. თუ რუსეთი ასადს გაწირავს, დაკარგავს თავის გეოპოლიტიკურ გავლენას ახლო აღმოსავლეთში და ვეღარ გააგრძელებს ავანტიურას. რუსეთის ჩართვა ახლო აღმოსავლეთში მართლა ავანტიურაა.

***– ბოლო პერიოდში რუსეთის სპეცსამსახურის რამდენიმე წარმომადგენელი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ერთ-ერთზე ითქვა, რომ აგარაკზე დაიღუპა. თუმცა, ამერიკელებმა განაცხადეს, ლიბანში დაიღუპაო. მათი დაღუპვა ხომ არ უკავშირდება შიდა მოძრაობებს?***

– რუსეთში უკვე მეოთხე მაღალჩინოსანი დაიღუპა. დაიღუპა ასევე კრემლის საკადრო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ძალოვანი და სამხედრო კადრების დაკომპლექტებას კურირებდა. პოლიციის გენერალი იყო, რომელიც ასევე საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.

***– ანუ შეიძლება შიგნით პუტინის წინააღმდეგ რაღაც მზადდებოდა?***

– რაღაც მომენტში ითქვა, რომ გენერლები პუტინის მოშორებას აპირებდნენ. კრემლის იერარქიაში მეოთხე კლანი გაძლიერდა. პუტინის ირგვლივ არსებობდა სამი კლანი.

***– რა კლანები?***

– ერთი არის ჩეკისტური კლანი, მეორე – სანკტ-პეტერბურგის დაჯგუფება მედვედევის მეთაურობით, მესამე – „კოოპერატივ „ოზერა“ პუტინის პირადი დაჯგუფებაა, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა კგბ-დან მოდიან. პუტინის პირადი მეგობრების ჯგუფია, პინჩუკები, კოვალჩუკები და სხვები, რომლებიც უშუალოდ აკონტროლებენ პუტინის პირად ფინანსებს. ფაქტობრივად, პუტინის პირადი გვარდიაა. ამას პლუს კიდევ პარტოკრატიული კლანი, „ედინაია როსიას“ პოლიტიკური დაჯგუფება.

## „ცხინვალში დაწყებული წვრთნები დაკავშირებულია გაზპრომთან მოლაპარაკებასთან“

გამოჩნდა კიდევ ახალი კლანი, სამხედროების, რომლებიც საკმაოდ მომძლავრდნენ. ამაში შედიოდა როგოზინი, შოიგუს დაჯგუფება და ის გენერლები, რომლებიც დღეს გაძლიერდნენ. ეტყობა, სამხედროების ეს დაჯგუფება ისე გაძლიერდა, პუტინმა დაიწყო მათთან დაპირისპირება, როგორც სტალინმა დაიწყო წითელი არმიის გენერლების წმენდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ საბრძოლო გენერლების გაუჩინარებისა და საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების ფაქტები სამხედროების კლანის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

***– შიგნით მიმდინარე პროცესები საგარეო პოლიტიკაზე როგორ შეიძლება აისახოს?***

– რა თქმა უნდა, შესაბამისად აისახება. მიჭირს თქმა, სამხედროების კლანი რას ითხოვდა და რატომ აპირებდნენ გადატრიალების მოწყობას. ეს ალბათ უკავშირდება უკრაინაში, კავკასიაში არსებულ სიტუაციას და სხვა პრობლემებს. გამოიკვეთა ნემცოვის მკვლელობაში კადიროვის როლი. კადიროვი საკმაოდ დაუახლოვდა სამხედროების დაჯგუფებას. ეს მიმართულება აშკარად ჩანს. ამიტომ, როგორც ჩანს, პუტინმა ზომები მიიღო.

სხვათა შორის, კადიროვის უახლოესი წრის წარმომადგენლებიც იყვნენ, რომლებიც კადიროვთან დადიოდნენ. დადასტურდა, რომ ბორის ნემცოვის მკვლელობა პირდაპირ კადიროვთან მიდის. ეს, სხვათა შორის, აღიარა.

***– პუტინმა აღიარა?***

– გამოძიება გავიდა კადიროვის უახლოეს გარემოცვაზე. ვინც ბორის ნემცოვის მკვლელობაში დაადანაშაულეს, არის გვარად დავიდოვი, მეტსახელად „ლორდი“. ესეც არის ოთხი გენერლის სიკვდილთან კავშირში.

***– როგორ?***

– ისიც მოჰყვა წმენდაში. როგორც ჩანს, პუტინმა გადატრიალება აღკვეთა და სამხედროების დაჯგუფებას მიაყენა სერიოზული დარტყმა.

***– პუტინის პოლიტიკა ცუდად აისახება ხოლმე საქართველოზე. ამ ვითარებაში ცხინვალში რუსული სამხედრო ძალების წვრთნები დაიწყო. რას შეიძლება უკავშირდებოდეს ზამთრის პერიოდში წვრთნების დაწყება?***

– ცხინვალში დაწყებული წვრთნები დაკავშირებულია გაზპრომის მოლაპარაკების კონტექსტთან და განხორციელებულია საქართველოს ხელისუფლებაზე გავლენისთვის.

***– რუსეთს სურს საქართველზე გატარებული გაზის სანაცვლოდ ფული გადაგვიხადოს. საქართველოს ხელისუფლება უნდა დათანხმდეს თუ არა?***

– ეს საკითხი ორი განსხვავებული კუთხით უნდა განვიხილოთ, ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოგეოპოლიტიკის კონტექსტში. ენერგოუსაფრთხოების კუთხით ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ. პირიქით, ეს ჩვენთვის იქნება დივერსიფიკაცია და სავსებით მისაღები ფორმულა შეიძლება იყოს. მაგრამ ენერგოგეოპოლიტიკის ამოცანების კუთხით, ალბათ, მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ.

გაზპრომი 90%-ით სახელმწიფო კორპორაციაა. აქციების 10%-ია მხოლოდ კერძო სექტორზე გადანაწილებული. სადაც გაზპრომია, იქ არის რუსეთის სახელმწიფო ინტერესები. საკითხს კომპლექსურად უნდა შევხედოთ, როსნეფტი შემოვიდა ფოთში. გაზპრომი შემოდის ზოგადად, საქართველოში და ამას ემატება ბილაინი, რომელმაც გააძლიერა ელექტრონული კავშირგაბმულობის სისტემის კონტროლი. ამ კომპანიებს აკონტროლებენ რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები.

# ომარ ნიშნიანიძე: „ვინც კოალიციიდან წავა, საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***ბაშვილის გამოჩენამ ახალი მითქმამოთქმები გამოიწვია. ისევ დაიწყო საუბარი, რომ ის იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი. ამ თემაზე თუ იყო საუბარი?***

– ძალიან გამიხარდა, ირაკლი ღარიბაშვილი ამ შეხვედრაზე რომ მოვიდა. ეს დასტურია იმისა, რომ ჩვენ კვლავ ერთ გუნდად ვრჩებით. ჩემთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბუნებრივია, საუბარი მის წასვლაზეც იყო. ბატონმა ბიძინამ აღნიშნა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან ეფექტური პრემიერი იყო. იმ პერიოდში ამ თანამდებობაზე კვირიკაშვილი რომ ყოფილიყო, ის ასეთი ეფექტური ვერ იქნებოდაო. თქვა, რომ ახლა კვირიკაშვილი უფრო ეფექტური იქნებაო. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდის და ყველაფერი ნორმაშია. გული მიგრძნობს, რომ კარგისკენ მივდივართ.

***– ღარიბაშვილის პოლიტიკურ მომავალზე არაფერი თქმულა?***

– ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა. ამის მიუხედავად, ყველამ ვიცით, რომ მას ძალიან დიდი რესურსი აქვს და პრემიერად ყოფნისას უზარმაზარი გამოცდილება შეიძინა. ის დასაკარგი ადამიანი არაა და თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის.

***– სად და რანაირად იტყვის თავის სათქმელს?***

– ამას თავად გადაწყვეტს.

***– რამდენიმე დღის წინ თქვენი კოლეგა თამაზ მეჭიაური კოალიციის დაშლის ინიციატივით გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ კოალიციაში თუ ვინმეს დიდი პოლიტიკური მადა აქვს, შეუძლია ცალკე გავიდეს და ასე დაამტკიცოს თავისი ძალაო. ამაზე თუ იყო ივანიშვილთან საუბარი?***

– ამაზე შეხვედრაზე არ გვისაუბრია. თამაზის განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, რაც დიდად გამართლებულად არ მიმაჩნია. მან თქვა სრული სიმართლე, თუ ვინმეს მომატებული მადა გაუჩნდება, ლოგიკურიც იქნება, თუ დამოუკიდებლად მოსინჯავს საკუთარ ძალებს.

## „ივანიშვილმა გუნდში არსებულ ყველა დაპირისპირებას წერტილი დაუსვა“

***– მივა აქამდე საქმე?***

– არა მგონია, არჩევნებამდე მივალთ, როგორც კოალიცია. პარტიები თუ შემოგვემატებიან, თორემ წასვლით არავინ წავა.

***– რატომ გგონიათ, რომ არავინ წავა?***

– იმიტომ, რომ ყველამ კარგად იცის საკუთარი შესაძლებლობები. თამაზ მეჭიაურის განცხადებამ ყველამ ისე აღიქვა, რომ რესპუბლიკელების მისამართით იყო გაკეთებული. დამიჯერეთ, ეს მარტო რესპუბლიკელებს არ ეხება. ნებისმიერი პარტია, რომელიც კოალიციიდან გავა, საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს.

***– პარტია „ქართულ ოცნებასაც“ გულისხმობთ?***

– ჩვენი საქმე ცოტა სხვანაირად არის. თუ ცალკე გავალთ, ეს შესაძლოა წაგვადგეს კიდეც და ხალხში უფრო მეტი სიმპათიები დავიმსახუროთ. მოსახლეობის ერთი ნაწილი ჩვენს კოალიციაში შემავალ რამდენიმე სუბიექტს ვერ იტანს და თუ ცალკე ვიქნებით, გაიხარებენ.

სამომავლოდ რა მოხდება, არ ვიცი, მაგრამ უახლოეს მომავალში კოალიციას არავინ დატოვებს. როგორც უკვე გითხარით, კოალიციაში შემომატებას აპირებენ.

***– მწვანეთა პარტიას და სოციალ-დემოკრატებს გულისხმობთ?***

– მათზე მოგახსენებთ.

***– დაიმატებთ ამ პარტიებს?***

– დასაკარგი ხალხი არ არის. „ქართულ ოცნებას“ სოციალ-დემოკრატიული მიმართულება გვაქვს აღებული და რატომ არ უნდა მივიღოთ სოციალ-დემოკრატები? თუ ლიბერალებთან ვახერხებთ თანამშრომლობას, მათთან რატომ ვერ უნდა მოვახერხოთ? მგონია, რომ მათთან ძალიან კარგად ვითანამშრომლებთ.

***– მათ გარდა კიდევ თუ დაგემატებათ ვინმე? ბოლო დროს ბევრს საუბრობენ კოალიციაში ალასანიას პარტიის შესაძლო დაბრუნებაზე.***

– არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ ვერც იმას დაგიდასტურებთ, რომ ამ თემაზე რაიმე მოლაპარაკება მიმდინარეობს. მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, ქვეყანაში დიდი პოლიტიკური დუღილი იქნება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

თავად თავისუფალი დემოკრატები ამბობენ, რომ ოპოზიციაში არიან და არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას. ცალკე ყოფნა თუ უნდათ, ძალით ნამდვილად არ ვაპირებთ მათ შეყვანას კოალიციაში.



***– ივანიშვილთან გამართულ შეხვედრაზე არ ყოფილა პარლამენტის თავმჯდომარე. ის იმიტომ არ მოვიდა, რომ მხოლოდ ფრაქციის წევრებთან იყო შეხვედრა თუ არის სხვა რაიმე მიზეზი?***

– არანაირი სხვა მიზეზი არ არის. დავით უსუფაშვილი რესპუბლიკელია. ივანიშვილს მხოლოდ ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები ვხვდებოდით. ფრაქციის წევრების გარდა, იქ უცხო არავინ არ ყოფილა თუ მხედველობაში ანსამბლ „ქართულ ხმებს“ არ მივიღებთ.

***– ისინი რა სტატუსით ესწრებოდნენ შეხვედრას, მუსიკალურად გააფორმეს თუ რაიმე პოლიტიკური ამბავია აქაც?***

– „ქართული ხმების“ წევრები ბიძინა ივანიშვილის მეგობრები არიან. ისინი იქ მოვიდნენ და რამდენიმე ლამაზი სიმღერა გვიმღერეს. ეს იყო და ეს.

***– კახა კალაძე და ირაკლი კობახიძე რატომ არ მოვიდნენ? ერთი პარტიის გენერალური მდივანია, მეორე – აღმასრულებელი.***

– ისინი იმ მარტივი მიზეზით არ მოვიდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ დეპუტატებს ხვდებოდა. გამონაკლისები მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილი და გიორგი კვირიკაშვილი იყვნენ.

***– იმის თქმა თუ შეგიძლიათ, რომ გუნდში არსებული დაპირისპირება დასრულდა?***

– ვერ გეტყვით, რომ ყველაფერი იდეალურად არის, მაგრამ გაუგებრობას ადგილი აღარ აქვს. ბიძინა ივანიშვილმა თავისი დიპლომატიურობით ეს დაპირისპირება თითქმის გააქრო. დღეს ყველაფერი გარკვეულია.

# მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობას არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ მივცემ“

## „სააკაშვილი წინასაარჩევნოდ მეგაპროვოკაციებს აპირებს“



მარიამ მჭედლიშვილი

**ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი და ყოფილი თავმჯდომარე მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საუბრობს იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა მისი არაფორმალური ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით წელს დიდი პროვოკაციების მოწყობას გეგმავს. ისინი ძირითადად „ქართული ოცნების" წინააღმდეგ იქნება მიმართული.**

***— ნაციონალები ქუჩის აქციებს აანონსებენ. თქვენ რომელი პროვოკაციები გაქვთ მხედველობაში?***

— ეს იქნება კომპრომატების გამოქვეყნება. ამ კუთხით განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცევა პოლიტპატიმრების საკითხს.

***— პოლიტპატიმრებთან დაკავშირებული სკანდალი ნაწილობრივ უკვე აგორებულია.***

— ჯერჯერობით ამ თემაზე გაისმის მხოლოდ მანანა კობახიძის, ეკა ბესელიასა და ნანა კაკაბაძის გვარები. სააკაშვილი აპირებს ისეთი მასალების გამომზეურებას, სადაც სხვებიც იქნებიან. ნაციონალებს უნდათ იმის დამტკიცება, რომ პოლიტპატიმრების საქმეში სხვებიც არიან გასვრილი ანუ დაახლოებით 150 გათავისუფლებულ პოლიტპატიმარზე „ქართული ოცნების“ გავლენიან ნაწილს კვოტები ჰქონდა გადანაწილებული. საინფორმაციო საშუალებებში გამოჩნდებიან პირები, რომლებიც იტყვიან, რომ პოლიტპატიმრის სტატუსით გამოშვებაში ფულია გადახდილი.

***— ანუ ეს იქნება შავი წინასაარჩევნო პიარი „ოცნების“ წინააღმდეგ?***

— სააკაშვილს განზრახული აქვს, „ქართული ოცნების“ ისედაც შერყეული რეიტინგი ნულამდე დაიყვანოს. მთავარი გზავნილი ასეთია — ციხის კადრების საპასუხოდ ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ 2:1 უგებს. „ქართული ოცნების“ რეიტინგი ჩემი სადარდებელი არ არის, თუმცა ჯობია, მმართველმა კოალიციამ საკუთარი რიგების ლუსტრაცია მოახდინოს.

***— ნაცმოძრაობას რას უშველის ეს პროვოკაციები? მის მიმართ ნდობა გაიზრდება?***

— ნაციონალების ავტორიტეტი ამით არ გაიზრდება. უფრო მეტსაც ვიტყვი — ნაციონალურ მოძრაობას ცუდი დღე ელის.

***— მაინც რა ელის ნაცმოძრაობას?***

— თქვენი პოპულარული გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო ნაციონალური მოძრაობის წევრებს — შექმნან ახალი პარტია და იქ გადაბარგდნენ, თორემ მე, როგორც ამ პარტიის ნამდვილი დამფუძნებელი და დაზარალებული პირი, მათ არჩევნებში მონაწილეობის საშუალებასა და უფლებას არ მივცემ.

***— რანაირად?***

— ჩემს მრავალრიცხოვან თანამებრძოლებთან და მომხრეებთან ერთად საპროტესტო აქციებს გავმართავ პროკურატურასთან, სასამართლოსთან, ასევე — საზოგადოებრივ მაუწყებელთან, დავამტკიცებ, რომ სააკაშვილმა ყალბი ხელმოწერით ჩაიგდო ხელში ჩემ მიერ შექმნილი პარტია, მივაღწევ იმასაც, რომ სასამართლოში ეს საქმე განახლდეს. თუ პროკურატურამ ხელმოწერის ნამდვილობაზე ექსპერტიზა ჩაატარა, ეს იქნება ახალი გარემოება და სასამართლო პროცესის გაგრძელების საფუძველი.

***— საზოგადოებრივ მაუწყებელთან რა პრეტენზიები გაქვთ?***

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საქმე ძალიან მნიშვნელოვანია, პირველი და მეორე არხი სრულ იგნორირებას მიკეთებენ, ანგარიშს არ უწევენ იმასაც, რომ ჩემი პრესკონფერენციები ინტერნეტში ნახვადობით ლიდერებს შორისაა. ამიტომ გავმართავთ აქციებს საზოგადოებრივ მაუწყებელთან და მოვითხოვთ საეთერო დროს.

***— თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, სააკაშვილი ისევ აქტიურად ერევა საქართველოს ამბებში.***

— რასაკვირველია. ამ მხრივ 2016 წელი გამორჩეული იქნება. უკრაინიდან სარწმუნო წყაროები მატყობინებენ, რომ სააკაშვილის უკრაინული ვოიაჟი ჩაიშალა. მისი საქმიანობა და ყურადღება საქართველოსკენ გადმოდის.

***— შეიძლება უკრაინის პრემიერობა არ გამოუვიდა, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, სააკაშვილი ახლა ოდესაში პორტო-ფრანკოს რეჟიმის მომხრედ გამოდის და ამ მიმართულებით აქტიურობს.***

— ადრევე ვამბობდი, რომ სააკაშვილი იბრძვის დიდ აბრეშუმის გზაში ოდესის ჩართვისთვის. მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინა შეზღუდა და აკრძალა საქონლის ტრანზიტი თავის ტერიტორიაზე, ეს ეკონომიკური გეგმებიც ჩაიფუშა.

სააკაშვილის მთელი ძალები საქართველოსკენაა მომართული. ესაა უდიდესი გამოწვევა და საფრთხე ქვეყნისთვის. მე და ჩემი მომხრეები ამის საწინააღმდეგოდ არაფერს დავიშურებთ. შეულამაზებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს მამულიშვილური საქმეა.

# „თბილისის საკრებულო უსაქმურებით არის სავსე“

## ლევან ხაბეიშვილი: „მერია და გამგეობები რესპუბლიკელებსა და ფორუმელებს ჩაგრავენ“

შორენა მარსაგიშვილი

**დედაქალაქის საკრებულოს წევრების საქმიანობით საზოგადოება აღფრთოვანებული დიდად არ არის. ხალხის რისხვა განსაკუთრებით მაჟორიტარებს ატყდებათ თავს.**



მათ უმოქმედობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ მიერ ჩატარებული კვლევაც მეტყველებს. კვლევა ეხება 2015 წლის მაჟორიტარების აქტივობასა და მუშაობას.

როგორც „მედიატორში“ განაცხადეს, საჯარო ინფორმაცია მერიიდან და გამგეობებიდან იქნა გამოთხოვილი.

„მედიატორს“ აინტერესებდა 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის 10 დეკემბრამდე მაჟორიტარი დეპუტატების მიერ გაწეული შუამდგომლობების შესახებ ინფორმაცია და დაკმაყოფილებული შუამდგომლობების რაოდენობა.

— შედეგები კატასტროფულია. დედაქალაქში არცერთი დეპუტატი არ მუშაობს. დედაქალაქს ჰყავს 25 არჩეული დეპუტატი, რომლებსაც აბსოლუტურად დაკარგული აქვთ ურთიერთობა ადგილობრივებთან და მხოლოდ პირადი კომფორტის მოწყობით არიან დაკავებულნი, — აღნიშნავს „ახალ თაობასთან“ საუბარში „მედიატორის“ ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი.

მისი ინფორმაციით, ერთი დეპუტატის ანაზღაურება წელიწადში საშუალოდ 30.000 ლარია.

### „ბიუროებს მაჟორიტარები ნათესავების დასასაქმებლად იყენებენ“

— 25 დეპუტატის ანაზღაურება 750.000 ლარი გამოდის. ამას დაამატეთ თითო მაჟორიტარის ბიუროსთვის გამოყოფილი 60.000 ლარი. დეპუტატის ბიუროს ხარჯსა და დეპუტატის ანაზღაურებას თუ შევკრებთ, ჯამში წელიწადში 2.250.000 ლარს მივიღებთ. გამოდის, რომ ამ ფულს თბილისელები ხარკის სახით ვუხდით ამ უსაქმურებს, — აღნიშნავს ხაბეიშვილი.

გაირკვა, რომ გასულ წელს მუხიანის დეპუტატმა ქეთევან ჯოხაძემ 3 შუამდგომლობა გააკეთა, გლდანის (ლუწები) რჩეულმა ნინო გოგუაძემ 5 შუამდგომლობა დაწერა.

ლოტკინის წარმომადგენელმა დავით ჭელიძემ 3 შუამდგომლობით მიმართა სათანადო ორგანოებს, საბურთალოს (დოლიძე) დავით ზურაბიშვილმა კი ამ ფრონტზე 15-ჯერ გამოიჩინა თავი. ვაკის (წყნეთი) მაჟორიტარმა გიორგი მუსხელიშვილმა 8 შუამდგომლობა დაწერა.

— დეპუტატების უმრავლესობას წელიწადში 100 შუამდგომლობაც კი არ აქვს გაწეული. ასეთები არიან — ჯაბა ჯიშკარიანი, თარაშ შურღაია, ვლადიმერ ძნელაძე, ზაქარია კოლელიშვილი, შორენა ბუხრაშვილი, ალეკო ელისაშვილი, გულიკო ზუმბაძე, ლია ჯახველაძე და გოჩა ბაბუნაშვილი, — მიიჩნევს „მედიატორის“ ხელმძღვანელი.

ჩატარებულმა კვლევამ ისიც დაამტკიცა, რომ ჩვენი საკრებულო მთლად წყალწაღებული არ ყოფილა. გაგიკვირდებათ და თბილისის საკრებულოში ისეთი ხალხიც ყოფილა, რომლებსაც შუამდგომლობის წერა არ ეზარებათ.

— ჩვენმა კვლევამ ლიდერებიც გამოავლინა. საუკეთესო დეპუტატები ამ ფონზე ზურაბ ნეფარიძე და რამინა ბერაძე არიან. ნავთლუღის რჩეულ ზურაბ ნეფარიძეს 452 შუამდგომლობა აქვს დაწერილი, რაც მისი ამომრჩევლის მხოლოდ 1,6%-ია. რამინა ბერაძეზე 604 შუამდგომლობა მოდის, რაც მისი ამომრჩევლის მხოლოდ 1,07%-ია.

ენებელიც კარგად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ ისინი ამომრჩეველზე, — აღნიშნა ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მაჟორიტარების ბიუროები.

— თარაშ შურღაიას ბიუროს თანამშრომლები ერთმანეთს არც კი იცნობდნენ. ზოგის ბიურო საერთოდ დაკეტილია. ვარკეთილის მაჟორიტარია მაკასარაშვილს ბიუროში ქმარი და შვილი ჰყავდა დასაქმებული. ამ ამბის გახმაურების შემდეგ ოჯახის წევრების ადგილას სხვები დაასაქმა. გულიკო ზუმბაძემაც თავისი შვილი დაასაქმა. გამოდის, რომ ეს ბიუროები, რომელთა შენახვა წელიწადში 1,5 მილიონი გვიჯდება, დეპუტატების ნათესავების დასასაქმებელი ადგილია, — ამბობს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ხაბეიშვილს დეპუტატების უსაქმურობაში კიდევ ერთი ფაქტი არწმუნებს.

— როდესაც ეს კვლევა დავიწყეთ, საინტერესო სტატისტიკას წავაწყდით, ვნახეთ, რომ არცერთ მაჟორიტარ დეპუტატს გამგეობისთვის საქმიანი წინადადებით ანუ ინიციატივით არ მიუმართავს. შუამდგომლობას თუ არ წერენ და ინიციატივით არ გამოდიან, მაშინ რა საჭიროა საერთოდ ეს მაჟორიტარები? — კითხულობს ხაბეიშვილი.

„მედიატორის“ წევრებმა კვლევის მიმდინარეობისას კიდევ ერთი სტატისტიკა აღმოაჩინეს.

**ლევან ხაბეიშვილი:**

— გაირკვა, რომ მერია და გამგეობები რეაგირებას ძირითადად პარტია „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატების შუამდგომლობაზე ახდენენ. კოალიციაში შემავალი სხვა პარტიების წარმომადგენლების, მაგალითად, რესპუბლიკელების ან ფორუმელების მიმართვებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ფაქტობრივად, მათ ჩაგრავენ.

# თამარ ამაშუკელი: „ადრე გეგმავდა მიხეილ სააკაშვილი, დღეს — ბიძინა ივანიშვილი“



— ადრე გეგმავდა მიხეილ სააკაშვილი, დღეს — ბიძინა ივანიშვილი ვერ გავცდით რეალობას, როდესაც ქალაქის განვითარებას გეგმავს კონკრეტული პიროვნება, რომელსაც არანაირი კავშირი არც არქიტექტურასთან და არც ურბანისტიკასთან არ აქვს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრმა თამარ ამაშუკელმა განუცხადა. მისი თქმით, ადრე გეგმავდა მიხეილ სააკაშვილი, დღეს ბიძინა ივანიშვილი.

**თამარ ამაშუკელი:**

— „პანორამა თბილისის“ პროექტის მენეჯერი დაგვინიშნეს თბილისის მერის მოადგილედ. ჩვენ გვყავს არაფორმალური მმართველი, რომელიც საკუთარი ნდობისა და სიმპათიების მიხედვით ნიშნავს და ათავისუფლებს ადამიანს. ნურავის გაუკვირდება, თუ ერთ დღეს ცუდ ხასიათზე გაღვიძებული ბიძინა ივანიშვილი ფავორიტებს შავ სიაში გადაიყვანს. ჩვენ ვერ გავცდით რეალობას, როდესაც ქალაქის განვითარებას გეგმავს კონკრეტული პიროვნება, რომელსაც არანაირი კავშირი არც არქიტექტურასთან და არც ურბანისტიკასთან არ აქვს. ადრე იყო მიშა, დღეს არის ბიძინა. „პანორამა თბილისი“ არის ტესტი, რომელიც ვერ ჩააბარა ვერც ივანიშვილმა და ვერც მისმა მთავრობამ.

მისივე თქმით, „პანორამა თბილისი“ ეწინააღმდეგება ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვის ყველა პრინციპს.

— ჩემთვის პირადად საინტერესო დღეს არ არის რას ამბობს ჯოკია ბოდოკია და რა ინტრიგები იყო შიგნით, ვინ ვის ადებს ხელს და რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ფაქტია, რომ „პანორამა თბილისი“, რომელიც ეწინააღმდეგება ყველა პრინციპს ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვისა, არის ბიძინა ივანიშვილის პროექტი და ამ პროექტის წინააღმდეგ წასვლა ვერც ერთმა ინსტიტუციამ ვერ გაბედა.

დღეს ჩვენ ვხედავთ თუ როგორ ინიშნება ბიძინა ივანიშვილის კადრები ყველგან, — განაცხადა ამაშუკელმა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლადო პაპავა: „თუ საქართველო გაზპრომის წინადადებებს დათანხმდება, ეს დანაშაული იქნება“



**საქართველოს მთავრობასა და გაზპრომს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებსა და ამ თემაზე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაზე ინტერპრესნიუსი პროფესორ ლადო პაპავას ესაუბრა.**

***– როგორ შეაფასებდით საქართველო-გაზპრომის ურთიერთობებზე მიმდინარე პოლემიკას?***

– გაზპრომს საქართველოზე გავლენის მოპოვება დიდი ხანია უნდა. ეს პრაქტიკულად მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გახდა.

გაზპრომმა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო ზეგავლენის მოპოვება სამხრეთ კავკასიაზე. ეს განსაკუთრებით აისახა სომხეთზე. მან მოახერხა, სომხეთში ხელში ჩაეგდო მილსადენები, რომლებიც სსრკ-ის დროს არსებობდა. ბუნებრივია, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ეს მილსადენები იმ რესპუბლიკებს დარჩა, სადაც ეს მილსადენები ტერიტორიულად მდებარეობდა. ამიტომ, როცა ვსაუბრობთ სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ მილსადენზე, სსრკ-ის დაშლის შემდეგ ის სომხეთს დარჩა. 2000-იან წლებში გაზპრომმა მოახერხა ამ მილსადენის ხელში ჩაგდება. 2000-იან წლებში დაიწყო მილსადენის მშენებლობა ირანსა და სომხეთს შორის. ჯერ კიდევ მშენებლობის სტადიაზე გაზპრომმა ეს მილსადენიც ხელში ჩაიგდო.

საქართველოში დარჩენილია სსრკ-ის დროს აშენებული ერთადერთი მილსადენი, რომელიც ცნობილია მაგისტრალური გაზსადენის სახელით, რომელიც საქართველოს მონაკვეთშია და რომლის მფლობელი გაზპრომი არაა. ეს არის 225-კილომეტრიანი მილსადენი, რომელიც საქართველოში რუსეთიდან შემოდის და სომხეთში გადადის.

ლადო პაპავა ამბობს, რომ გაზპრომი დიდი ხანია ცდილობს, ჰქონდეს კონტროლი ამ მილსადენზე.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ამ თემაზე ანუ ამ მილსადენზე მაშინდელმა მთავრობამ ასეთი განცხადებაც კი გააკეთა – „მილსადენი ჯვრის მონასტერი ან სვეტიცხოველი არაა, რომ მისი გაყიდვა არ შეიძლებოდეს“.

მაშინ ამ თემაზე დაიწყო მოლაპარაკებები გაზპრომთან. ქართული მხარე მილსადენში 300 მილიონ დოლარს ითხოვდა. გაზპრომი მზად იყო, გადაეხადა 150 მილიონი დოლარი. გამოჩნდა შუამავალი ფრანგული კომპანია.

– ახლა მე რაზეც ვსაუბრობ, ინტერნეტში ახლაც ხელმისაწვდომია. შუამავალი კომპანია ცდილობდა მხარეებს მიეღწიათ შეთანხმება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს შეთანხმება არ შედგა, რადგანაც ამ საქმეში ჩაერია ჩვენი მეგობარი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები, – აღნიშნავს ლადო პაპავა.

მისი თქმით, აშშ-მ საქართველოს მთავრობას აუკრძალა გაზსადენის გაყიდვა და კომპენსაციის სახით ათასწლეულის გამოწვევის პროგრამიდან საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციისთვის თითქმის 50 მილიონი აშშ დოლარამდე გამოუყო.

– ყველაფერი ეს 2006 წლის გაზაფხულზე მოხდა. ხელშეკრულებაში ჩაიდო, რომ საქართველო 5 წლის განმავლობაში მილსადენს არ გაყიდდა. ეს ვადა განისაზღვრა მილსადენზე სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.

ლადო პაპავა ამბობს, რომ მაშინ საქართველოს მოსახლეობა ნაციონალური მთავრობისაგან გადაარჩინა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა.

– ვფიქრობ, რომ დღესაც ყველანაირად გამართლებულია, საქართველოს მოსახლეობამ ვთხოვოთ აშშ-ს, ამ საქმეში ჩაერიოს. რაც ახლა ხდება, ალმაშფოთებელია. საქმე ეხება ჩვენთვის ასეთ მნიშვნელოვან სატრანზიტო გაზს და მნიშვნელობა არ აქვს, ეს არაპროფესიონალიზმის გამო ხდება თუ განსაკუთრებული გარიგების გამო, რის შესახებაც არც საზოგადოებას და არც მე ინფორმაცია ხელთ არ გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს.

***– სხვადასხვა განცხადება გაკეთდა იმასთან დაკავშირებითაც, კონკრეტულად რაზე მიმდინარეობს გაზპრომთან ვაჭრობა – მინისტრმა კალაძემ ერთხელ თქვა, ტრანზიტის ფასზე ვვაჭრობთო, მეორედ – ტრანზიტის საფასურის მიღებაზეო. თქვენ როგორ გაიგეთ რეალურად, რა საკითხზე აწარმოებს მოლაპარაკებებს მინისტრი კალაძე გაზპრომთან?***

– ჯერ კიდევ შევარდნაძის მთავრობის დროს მოხერხდა გაზპრომთან უნიკალური შეთანხმების დადება. შეთანხმების შესაბამისად, მაგისტრალური გაზსადენით, რომლითაც სომხეთი რუსეთიდან გაზს იღებდა, საქართველო ტრანზიტის საფასურს გატარებული გაზის 10%-ის ნატურით იღებდა ანუ, საქართველო გაზის ტრანზიტში ფულს კი არა, ტრანზიტის საფასურის შესაბამის გაზს იღებდა.

გატარებული გაზის 10% დღევანდელი საქართველოს გაზის მოხმარების ჯამური ოდენობის 12%-ს შეადგენს. ჩვენ თუ გაზის სახით ამ ოდენობის გაზს არ მივიღებთ, ამ ოდენობის გაზი ფულით გვექნება საყიდელი. რუსეთს ურჩევნია, საქართველოსთან გადახდა ჰქონდეს არა ნატურით, არამედ ფულით.

***– რატომ?***

– ჯერ ერთი, გაზის ფასი ცვალებადია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ 2015 წელს სომხეთი შეუერთდა ევრაზიულ კავშირს, ხოლო ევრაზიული კავშირის უმთავრესი გამაერთიანებელი ბერკეტი არის ენერგეტიკა და ენერგეტიკულ წყაროებზე ფასები, რომლებსაც რუსეთი აწესებს.

დავუშვათ, საქართველოს მთავრობა დათანხმდა რუსულ წინადადებას და რუსეთმა გადაგვიხადა არა გატარებული გაზის 10% ნატურით ანუ გაზით, არამედ მისი ღირებულებით ანუ ფულით. ჩვენთვის გადმოსაცემი ფულის ოდენობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ გაზის რა ფასზე შეთანხმდებიან მოსკოვი და ერევანი. მაგრამ, საქართველო არ არის ევრაზიული კავშირის წევრი და ღმერთმა დაიფაროს, მისი წევრი გახდეს. ეს მოსკოვს უტოვებს ბერკეტს ჩვენ გვითხრას – მე ერევანს გაზის დაბალ ფასს იმიტომ ვთავაზობ, რომ სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრია. ამ ფასიდან გამომდინარე ჩვენთვის ტრანზიტისთვის განკუთვნილი თანხა დაბალი იქნება.

თუ ჩვენ რუსეთისგან გადავწყვეტთ გაზის შეძენას, იგი ჩვენთვის გაზის საფასურს გაზრდის, ვინაიდან ჩვენ ევრაზიული კავშირის წევრები არა ვართ. გამოვა, რომ ჩვენ ჩვენი ენერგეტიკული ბალანსიდან დავკარგავთ გაზის 12%-ს ნატურაში, ხოლო მის სანაცვლოდ მიღებული ფული არ გვეყოფა იმისთვის, რომ ჩვენთვის სამყოფი გაზი ვიყიდოთ. გამოდის, რომ უხლართავ საქმეს სახლართავად ვიხდით!

***– ანუ ქართულმა მხარემ გაზპრომთან მოლაპარაკებებისას არ უნდა დათმოს ის პოზიცია, რომ საქართველომ გაზპრომისაგან ტრანზიტის საფასური ნატურით ანუ გაზის სახით უნდა მიიღოს?***

– დიახ, ასეა. ჩვენ თუ ტრანზიტის საფასურის ფულით მიღებას დავთანხმდით, მოხმარებული გაზის 12% საყიდელი გვექნება და ვისგან უნდა ვიყიდოთ? გაზის ტრანსპორტირებას გაზსადენი სჭირდება, მას ტანკერით ვერავინ მოიტანს. ჩვენ ჩვენთვის აუცილებელი გაზის ოდენობა იმ გაზის მილიდან უნდა მივიღოთ, რაც დღეს არსებობს.

გარდა ამისა, გაზპრომთან გაუგებარი თამაშებით ჩვენ შესაძლოა გავანაწყენოთ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი აზერბაიჯანი. არაა გამორიცხული, ასეთ შემთხვევაში აზერბაიჯანმა შედარებით დაბალ ფასში აღარ მოგვცეს მისი გაზი. შესაძლოა ისე გამოვიდეს, რომ იმ ფულით, რასაც გაზპრომი გვთავაზობს, ვერც აზერბაიჯანული და ვერც რუსული გაზი ვიყიდოთ. თუ ჩვენ თავი რუსეთის ამგვარი ზეწოლის ქვეშ მოვიხვედრეთ, შემდეგ მოგვიწევს ხელების გაშლა და თქმა – თავს ზევით ძალაა არაა და შევიდეთ ევრაზიულ კავშირში, თუ არა, გაზი საგრძნობლად გაგვიძვირდება.

ლადო პაპავა ამბობს, რომ თუ საქართველოს მთავრობა რუსული წინადადებების მიღებაზე წავიდა, ეს არ იქნება შეცდომა, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა და დანაშაული.

– ამიტომაც გადავწყვიტე, ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება დამეფიქსირებინა. არის თემები, რომლებზეც დუმილი შეუძლებელია, – აცხადებს ლადო პაპავა.

***– რამდენად გაქვთ იმის მოლოდინი, რომ ამ საკითხზე მთავრობა სწორ და ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მიიღებს?***

– ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვთქვამ ღრმა პატივისცემას ახალი პრემიერ-მინისტრის, ბატონი გიორგი კვირიკაშვილის მიმართ. ვთვლი, რომ იგი საკმაოდ მაღალი დონის პროფესიონალი და ეკონომიკის შესანიშნავი მცოდნეა. იმედი მაქვს, რომ პრემიერი არ დაუშვებს შეცდომას და ამ საკითხში მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

და კიდევ, საქართველოს მთავრობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ხელი არ უნდა შეუწყოს ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების გაფუჭებას. ამის ინტერესი დღეს რეგიონში დიდია. ამაში დაინტერესებული არიან სხვადასხვა ქვეყნები, სხვადასხვა ძალები, ამიტომ ჩვენმა მთავრობამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს იმისთვის, რომ ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები არ გაფუჭდეს და გაზის საკითხი არ აღმოჩნდეს სწორედ ის საკითხი, რომელიც შეიძლება გახდეს ჩვენ შორის ურთიერთობების გართულების საბაბიცა და საფუძველიც.

**კობა ბენდელიანი,**
**„ინტერპრესნიუსი“**

# საქართველოდან ექსპორტირებულია 25.445 ტონა სტანდარტული მანდარინი



15 იანვრის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 25.445 ტონა სტანდარტული მანდარინი. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, გადამუშავებულია 8.505 ტონა მანდარინი. სამრეწველო მანდარინის გადამუშავების შედეგად მიღებული შემოსავალი 1.718.773,5 ლარს შეადგენს, აქედან სახელმწიფო სუბსიდიის თანხა 844.179.1 ლარია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, საექსპორტო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი ციტრუსის მიწოდების უზრუნველსაყოფად, აჭარასა და გურიაში მანდარინის ჩაბარება შესაძლებელია 40-მდე დამახარისხებელ (შემფუთავ) პავილიონში.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის რეალიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებას ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში, კომპანიები, რომლებიც 1 კგ სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდიან, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან 1 კგ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდიას იღებენ.

– ამ ეტაპზე გაცემული სუბსიდიის თანხა შეადგენს 399.718 ლარს. სუბსიდია გაცემულია ყველა იმ ქარხანაზე, რომლებსაც წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

სტანდარტული მანდარინის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი -78.27%, 19.917ტ, უკრაინა – 14.75%, 3.753ტ, სომხეთი – 3.06%, 778ტ, აზერბაიჯანი – 0.92%, 234 ტ, ყაზახეთი – 1.76%, 447ტ, ბელორუსია – 0.95 % 242ტ, სხვა ქვეყნები – 0.29 % 74 ტონა, – ნათქვამია სოფლის მეურნეობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. მათივე ინფორმაციით, 2015 წლის 1 ნოემბრიდან ქალაქ ბათუმში შექმნილია ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის საკოორდინაციო შტაბი.

**ინტერპრესნიუსი**

# დავით სერგეენკო
## „ჯიპიაის“ არასერიოზული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით გაოცებულია




შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო სადაზღვეო კომპანია „ჯიპიაის“ „არასერიოზული და უპასუხისმგებლო“ დამოკიდებულებით გაოცებულია. დავით სერგეენკო ჟურნალისტებთან საუბარში ვანის საავადმყოფოსთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა, სადაც საუბარია იმაზე, რომ „ჯიპიაიმ“ ვერ შეასრულა ვალდებულება.

სერგეენკოს განცხადებით, ვანის საავადმყოფოს ინფრასტრუქტურა მართლაც სავალალო მდგომარეობაშია.

**დავით სერგეენკო:**

– ჩვენ რაც მოვახერხეთ, ჩავატარეთ მინიმალური კოსმეტიკური რემონტი იმის გამო, რომ ის შენობა იპოთეკით არის დატვირთული და საკმაოდ რთული ქონებრივი დავებია. ჩვენ წელიწადნახევარი დავუთმეთ იმას, რომ სადაზღვევო კომპანიებთან, მათ შორის „ჯიპიაისთან“ სამართლიანი და პარტნიორული ურთიერთობა გაგვემყარებინა კონკრეტული ნაბიჯებით. ეს ნაბიჯები გადადგმულია და შესრულებულია ჩვენი მხრიდან.

ჩემთვის მართლაც გასაოცარი იყო ასეთი არასერიოზული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება „ჯიპიაისგან“, რომლის მინიმალური ვალდებულება იყო ამ პროექტის დასრულება. მათ უბრალოდ შემოგვითვალეს, რომ გადაიფიქრეს ამის გაკეთება.

სიტყვას ვიძლევი, რომ ვანის მოსახლეობას არ დავტოვებთ სამედიცინო მომსახურების გარეშე და ამას წელსვე აუცილებლად მოვაგვარებთ. იმედი მაქვს, რომ „ჯიპიაის“ მენეჯმენტს ოდნავ საღი აზრი მაინც აქვს შერჩენილი, საკუთარ თავს, საკუთარ ბიზნესს არ შეუქმნიან საფრთხეს ნდობის და რეპუტაციის კუთხით და საკუთარი ხელით არ გაუთხრიან სამარეს.

მისივე თქმით, სამინისტრო ყველა პროექტის მონიტორინგს ახორციელებს და ვანში „თითი თითზე არ არის დადებული იმ პროექტზე, რაც აპრილის ბოლოს უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს სალიცენზიო პირობების შესაბამისად“.

– მათი მხრიდან ეს საქციელი ცალსახად არის უპასუხისმგებლო, დაუფიქრებელი და არაპარტნიორული, – განაცხადა სერგეენკომ.

რაც შეეხება სანქციებს, მინისტრის განმარტებით, თუ პირველ მაისამდე არ მოხდა ინფრასტრუქტურის ჩაბარება, რომელიც შეესაბამება სანებართვო პირობებს, „ჩაერთვება ფინანსური სანქციების მზარდი კასკადი“ და საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მიადგება კომპანიას, ვიდრე მიადგებოდათ ამ პროექტის განხორციელებაში.

– რაც მთავარია, დავკარგავთ სანდრო პარტნიორს არა მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო, არამედ ვფიქრობ, მთელი ქვეყანა, – განაცხადა სერგეენკომ.

**ინტერპრესნიუსი**

# ლია ელიავა: „ჩვენი ეკონომიკა მონოპოლიზებულია“

ლალი დავითური

რა მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა გასულ წელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, რა იყო პოზიტიური ფაქტორი და რა — ნეგატიური მოვლენა? ამ და სხვა თემებზე „ახალ თაობას“ ეკონომიკის ექსპერტი ლია ელიავა ესაუბრა.

— პოზიტიური თვალსაზრისით ქვეყნის განვითარებისთვის გამოვყოფ სამ მნიშვნელოვან ფაქტორს. პირველი არის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების გაგრძელება, მეორე არის სახელმწიფო ჯანდაცვაზე უარის ართქმა და მესამე მთავარი მოვლენა, არის ევროპისაკენ გადადგმული კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი, — განაცხადა ლია ელიავამ.

ექსპერტის აზრით, ყველაზე დიდი ნეგატიური ფაქტორი იყო სავალუტო კრიზისი, რომლისგან გამომდინარეც, შემდგომ ეკონომიკამ მიიღო სერიოზული დარტყმები, ფასების ზრდა, ინფლაცია, კურსის რყევა და ა.შ.

— სახელმწიფოს მიერ სახსრების გაღება ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისთვის ჩვენ შედეგს მოგვცემს რამდენიმე წლის შემდეგ, მაგრამ შედეგი იქნება ძალიან საგრძნობი, — ფიქრობს ექსპერტი.

***— თუმცა ბევრი მიიჩნევს, რომ სოციალურ პაკეტში დახარჯული ფინანსები ეკონომიკის განვითარებას რომ მოხმარებოდა, ქვეყნის წინსვლისთვის უკეთესი იქნებოდა.***

— საყოველთაო ჯანდაცვა არის არა მარტო თითოეული ფიზიკური პირისთვის ჯანმრთელობის შენარჩუნების საშუალება, არამედ მას აქვს წმინდა ეკონომიკური დატვირთვაც, ვინაიდან ეკონომიკისთვის ჯანსაღი შრომითი რესურსის არსებობა არის უმნიშვნელოვანესი პირობა მისი განვითარებისთვის.

***— უდავოა, ვიზალიბერალიზაციის მიღება ქვეყნის განვითარებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, როგორ აისახება ეს ეკონომიკის განვითარებაზე?***

— ჩვენ მოქცეული ვართ აზიური ქვეყნების გარემოცვაში და ნაკლები კავშირი გვაქვს ევროპასთან. ის, რაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ სავაჭრო ურთიერთობები გვაქვს ევროპასთან, მათთვის არის ზღვაში წვეთი. ამიტომ ჩვენი ურთიერთობები ევროპასთან არის ჩვენი ეკონომიკური ზრდის საწინდარი.

ჩვენ, გარდა ეკონომიკისა, უნდა განვავითაროთ სამეცნიერო ურთიერთობები, კულტურული ურთიერთობები. თითქოს კულტურას რა კავშირი აქვს ეკონომიკასთან, მაგრამ ევროპული კულტურის გადმოტანა, ევროპული მენტალიტეტის გადმოტანა აბსოლუტურად შეცვლის ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას შრომისადმი. ესეც არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ნაბიჯი.

***— წინა წელს ხელისუფლებამ რა რესურსი ვერ გამოიყენა სრულფასოვნად, რატომ ვერ შეძლო ლარის დაცვა და ა.შ.?***

— ლარის გაუფასურებაზე მთელ პასუხისმგებლობას ვაკისრებ საქართველოს ეროვნულ ბანკს, იმიტომ, რომ მხოლოდ მის ხელში არსებობს ყველა ის ბერკეტი, რომლითაც შესაძლებელი იყო ლარის კურსის ვარდნის შეჩერება. ამას გარდა, ეროვნულ ბანკს გააჩნია ბერკეტები, რომლებითაც მას შეუძლია მაკროეკონომიკური სტაბილურობის კურსის უზრუნველყოფა, რომელიც, სამწუხაროდ, ასევე ვერ იქნა გამოყენებული.

ამან ვერ უზრუნველყო ფასების სტაბილურობა, ინფლაციის მაჩვენებლები სისტემატურად დახტოდა, სავალუტო კურსიც მუდმივად იცვლებოდა. ეს სფერო არის წმინდა ეროვნული ბანკის სფერო და მასში მთავრობა ვერ ჩაერევა.

***— ხელისუფლება უშეცდომოდ მუშაობდა?***

— რაც შეეხება ხელისუფლების საქმიანობას, მინდა ხაზი გავუსვა არასაკმარის საკანონმდებლო აქტიურობას. ქვეყანას აკლია ბევრი კანონი, მათ შორის ბიზნესის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომლის მიმართულებითაც მთავრობა არაინტენსიურად მუშაობდა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის საკადრო პოლიტიკა. ხშირად არაპროფესიონალებს ანდობენ ეკონომიკის სფეროს მნიშვნელოვან უბნებს, რაც ძალიან დიდ გავლენას ახდენს შემდგომ შედეგებზე.

ხელისუფლების კიდევ ერთი პრობლემა არის წინასწარ გაუთვლელად გადადგმული ნაბიჯები. მიიღება გადაწყვეტილება და მეორე დღეს უკვე ეს გადაწყვეტილება ინერგება ცხოვრებაში. ასეთი ხისტი მოქმედება ახასიათებდა წინა მთავრობას და რაც მივიღეთ, კი ვხედავთ. არ შეიძლება ესა თუ ის გადაწყვეტილება დღეს მიიღო და ხვალ უკვე ცხოვრებაში გაატარო. ამას ინტერვალი სჭირდება. ეკონომიკაში რაღაც ნორმა რომ შემოიღო, მაგალითად, საგადასახადო ცვლილება, საჭიროა, რომ ეს ცვლილება რამდენიმე წლის შემდეგ შევიდეს ძალაში.



***— ასე წინასწარი გათვლის გარეშე ხომ არ არის მიღებული კანონი „საპოლიციო გამოსახლების აკრძალვის შესახებ“, ეს კანონიც ხომ არ გამოიწვევს უკურეაქციას და კერძო მესაკუთრეებს ხომ არ შეუქმნის პრობლემებს?***

— მე ასე არ მიმაჩნია, იმიტომ, რომ საქართველოში კანონმდებლობა, ბოლოს და ბოლოს, უნდა გახდეს ცივილიზებული და ის არ უნდა იყოს მისადაგებული ველურ ნორმებს, რომლებიც სუფევს ჩვენზე უფრო ჩამორჩენილ ქვეყნებში. გაქირავების ან იჯარის შემთხვევაში საჭიროა ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში კი სასამართლო უცებ გამოიტანს გადაწყვეტილებას მესაკუთრის სასარგებლოდ.

საპოლიციო გამოსახლების აკრძალვა უფრო კრედიტორების პრობლემაა, რადგან კრედიტორები სესხს გასცემენ არა იმიტომ, რომ მსესხებელი არის გადახდისუნარიანი, არამედ იმიტომ, რომ მას აქვს დიდი ღირებულების გირაო.

ასეთი საკრედიტო საქმიანობა საქართველოში უნდა აღიკვეთოს. გამსესხებელი უნდა აფასებდეს მსესხებელს მისი გადახდისუნარიანობით და არა — ქონების მოცულობით. და თუ გამსესხებელმა ვერ დაიბრუნა ვალი მსესხებლისგან, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ორივე მხარეს, როგორც მსესხებელს, რომელმაც დაარღვია პირობა და არ გადაიხადა ვალი, ასევე გამსესხებელსაც, რადგან მან უგულებელყო სესხის გაცემის საერთაშორისო პრაქტიკა.

***— ამის დასარეგულირებლად რა არის საჭირო?***

— აუცილებელია სპეციალური კანონი საკრედიტო საქმიანობის შესახებ და სპეციალური კანონი გირაოს შესახებ, რა შეიძლება ჩაიდოს გირაოში. აუცილებელია აღიკვეთოს სესხის გაცემა თვიური საკომისიოთი, რაც არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ ხდება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენთან კანონმდებლობა არის მწირი.

***— საქართველოს ეკონომიკის 3%-მდე ზრდას პროგნოზირებენ, ეს პროგნოზი გაამართლებს?***

— ეს ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, შეიცვლება თუ არა ის პირობები, რომლის დროსაც იქნა გაკეთებული ეს პროგნოზები. პროგნოზი მაშინ გამართლდება, თუ ჩვენ ირგვლივ არაფერი შეიცვლება, ნებისმიერი ცვლილება გავლენას ახდენს პროგნოზის გამართლებაზე, ჩვენ კი ძალიან ცვალებად გარემოში ვცხოვრობთ.

***— ქალბატონო ლია, ნავთობის ფასი ყოველთვის აისახებოდა ფასებზე, ნავთობის გაძვირებასთან ერთად, ფასები მატულობდა ყველაფერზე, ახლა ნავთობის ფასი კატასტროფულად კლებულობს, ფასები კი ისევ ძვირია.***

— ეს იმიტომ, რომ ჩვენთან ეკონომიკა არის მონოპოლიზებული, ეკონომიკის ცალკეული დარგი უკავია ორ-სამ ან, უკეთეს შემთხვევაში, ოთხ მონოპოლისტს. ეს არის მონოპოლიზირებული ეკონომიკის თვისება.

ჩვენ იმდენად სუსტი ხელისუფლება გვყავს და იმდენად სუსტი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა გვაქვს, რომ ისინი ამას წინ ვერ აღუდგებიან. ქვეყანაში პრაქტიკულად არის სტაგნაცია და ამავდროულად არის ინფლაციის ზრდა.

ეს არის არანორმალური მოვლენა, როდესაც ქვეყანაში არის სტაგნაცია, მაშინ ფასებიც კლებულობს, ჩვენთან კი ინფლაციის პერიოდში ფასები იზრდება, ამ ფენომენს ჰქვია სტაგფლაცია. ფასების ზრდის მიზეზი არის მონოპოლიზებული ფასები.

## ტყიბულში სიმამრმა სიძე მოკლა



ტყიბულში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ახალი დეტალები გახდა ცნობილი. როგორც თვითმხილველები ყვებიან, სიმამრის მიერ სიძის მკვლელობას წინ ოჯახური კონფლიქტი უძღოდა.

— მოკლული რამდეჯერმე იყო ნასამართლევი. ცოლთან სულ პრობლემები ჰქონდა — ხან ჩხუბობდნენ, ხან რიგდებოდნენ. ერთი თვის წინაც დასცილდნენ.

გარდაცვლილი დროდადრო მიდიოდა ყოფილი მეუღლის სახლში, აყენებდა მას და მისი ოჯახის წევრებს სიტყვიერ შეურაცხყოფას. დღეს დილითაც დანით მივიდა მათ ოჯახში, ცოლს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მსუბუქად დაჭრა ოჯახის კიდევ ერთი სიძე. ამაში ჩაერია მისი სიმამრი და სიძე თავისივე დანით დაჭრა. ის სახლიდან რამდენიმე მეტრში გარდაიცვალა, — ყვებიან თვითმხილველები. ტყიბულის რაიონის სოფელ საწირეში მკვლელობა ცოტა ხნის წინ მოხდა. მოკლული ეჭვმიტანილის სიძეა. სიმამრი დაკავებულია. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა.

**ინტერპრესნიუსი**

## გამგებელს თანამშრომლის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაში ადანაშაულებენ

სენაკის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ლაშა კუჭავა სენაკის გამგებელს გოჩა დგებუაძეს 65 წლის ალიოშა კუჭავას სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაში ადანაშაულებს.

როგორც ლაშა კუჭავამ ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, მამამისი სამსახურიდან მიმდინარე წლის 14 იანვარს გაათავისუფლეს და ოფიციალურ მიზეზად საპენსიო ასაკი დაუსახელეს.

— მამაჩემის გათავისუფლება იყო შურისძიება, რადგან ჩემს მიერ შექმნილმა ანტიკორუფციულმა სამსახურმა გოჩა დგებუაძე კორუფციულ საქმიანობაში ამხილა, — განაცხადა კუჭავამ.

ბრალდებების ადრესატმა გოჩა დგებუაძემ დღეს ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯოკია ბოდოკია: „ივანიშვილი ნარმანიას საკუთარ შეცდომას უწოდებს“



— დავით ნარმანიასა და ალექსანდრე მარგიშვილის წინააღმდეგ, ბიძინა ივანიშვილი მას შემდეგ განეწყო, რაც „პანორამა თბილისს“ მერიაშიც პრობლემები შეექმნა, — ამის შესახებ მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის ყოფილმა უფროსმა, ჯოკია ბოდოკიამ სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ მას იმჟამინდელი მთავარი პროკურორის მოადგილეები ირაკლი შოთაძე და გიორგი გოგაძე მარგიშვილის წინააღმდეგ ჩვენებებს სთხოვდნენ.

ბოდოკია აცხადებს, რომ ივანიშვილმა პირდაპირ მარგიშვილის დაკავება მოითხოვა, რადგან „პანორამა თბილისზე“ უარყოფითი დასკვნის ერთ-ერთი ავტორი სწორედ მარგიშვილი იყო.

**ჯოკია ბოდოკია:**

— რატომ შეიცვალა ივანიშვილმა დამოკიდებულება სულ რამდენიმე თვეში ნარმანიას მიმართ — ივანიშვილი ნარმანიას საკუთარ მეორე შეცდომას უწოდებს, მას შემდეგ რაც პროექტ „პანორამა თბილისის“ განხორციელებას, უკვე მერიაშიც პრობლემა შეექმნა. ამის შემდეგ, ივანიშვილმა ნარმანიას მარგიშვილის გათავისუფლება მოსთხოვა, — ეგ ლოტოს კოჭი მანდ აღარ დავინახოო.

ნარმანია ამაშიც შეეწინააღმდეგა ივანიშვილს. ამის შემდეგ, ივანიშვილს თამაშში შეჰყავს მისი ერთგული ძალოვანი სტრუქტურები. კერძოდ, შს სამინისტრო გომელაურის ხელმძღვანელობით და მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძე. მათ დაევალათ მარგიშვილის პასუხისგებაში მიცემა.

დაიწყო ჩემი ხელმძღვანელის გეგი ნიჟარაძის დაბარება კვირაში 3-4-ჯერ ე.წ. მოდულის შენობაში. რამდენჯერმე იგი მეც მივიყვანე იქ. გააქტიურდა აგენტურული მუშაობა, მათ შორის ჩემთან მიმართებაში. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა „ქართული ოცნებიდან“ საკრებულოს დეპუტატი მალხაზ მჭედლიშვილი, რომელიც იმჟამინდელი სუს-ის ხელმძღვანელის, მირიან მჭედლიშვილის ძმაც არის.

მან ისიც აღნიშნა, რომ მას ღიად სთხოვდნენ ჩვენებებს ალექსანდრე მარგიშვილის წინააღმდეგ, შუამავალი კი იყო ბოდოკიას იმდროინდელი ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი, რომელიც მას გადასცემდა ირაკლი შოთაძის და მთავარი პროკურორის კიდევ ერთი მოადგილის, გიორგი გოგაძის დანაბარებებს.

— ხელი უნდა დამედო ალექსანდრე მარგიშვილისთვის, ვითომ მისი მითითებით ვმოქმედებდი. მთავაზობდნენ საპროცესო გარიგებას და 5 ათასიან ჯარიმას. თუმცა რამდენიმე ახალი პირობა გადმომცა ადვოკატმა, რამე ხომ არ ვიცოდი მარგიშვილზე ამ საქმის გარდა.

ვუთხარი, რომ მარგიშვილზე არაფერი ვიცოდი და რაღა უნდოდათ, ის ხომ მოხსნეს და მიზანი მიღწეული იყო. ადვოკატმა მითხრა, ის მოითხოვს, რომ დაიჭირონო. ვინ ის, კაცი შუშის სასახლიდანთქო? — ვკითხე და ხმამაღალი ხმით გადაფარა ჩემი ხმა და მითხრა, კედლებს აქაც ყურები აქვსო, — განაცხადა ჯოკია ბოდოკიამ, რომლის თქმითაც ნარმანია-მარგიშვილის წინააღმდეგ, ივანიშვილის დავალებით, სუს-ის მუშაობის ერთ-ერთი სამიზნე თავადაც გახდა.

2015 წლის 4 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ქრთამის მოთხოვნისა და მიღების ფაქტზე ბრალდებული ჯოკია ბოდოკია დამნაშავედ სცნო.

სასამართლომ მას სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთა 11 წლით განუსაზღვრა.

### გეგი ნიჟარაძე: „ჯოკია ბოდიკიას ურჩევნია, იმაზე აგოს პასუხი, რაც თვითონ გააკეთა“



— ჯოკია ბოდიკიას ურჩევნია, ამ სისულელეების ლაპარაკს იმაზე აგოს პასუხი, რაც თვითონ გააკეთა ჯოკია ბოდიკიას ურჩევნია ამ სისულელეების ლაპარაკს, იმაზე აგოს პასუხი, რაც თვითონ გააკეთა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ყოფილმა უფროსმა გეგი ნიჟარაძემ განუცხადა.

მან უარყო ბოდოკიას ინფორმაცია, რომ მას შემდეგ, რაც „პანორამა თბილისზე“ მერიამ უარყოფითი დასკვნა დადო და ბიძინა ივანიშვილი განაწყენდა, სუს-მა დაიწყო აგენტურა და დაკითხვები, მათ შორის ნიჟარაძეს კვირაში 3-4-ჯერ იბარებდნენ ე.წ. მოდულის შენობაში“.

— მოდულის შენობაში თუ საქმე მექნებოდა და მივიდოდი, ჯოკიას წაყვანა რაში მჭირდებოდა, მყავდა მე ჩემი მანქანა და მივიდოდი ჩემით. „პანორამა თბილისი“ არის მე-5 კატეგორიის მშენებლობა, რომელზე ნებართვებს ეკონომიკის სამინისტრო იძლეოდა. მერიას თავისი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ რა შუაშია ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე მარგიშვილი?! ჯოკია ბოდიკიას ურჩევნია ამ სისულელეების ლაპარაკს, იმაზე აგოს პასუხი, რაც თვითონ გააკეთა. საიდან აქვს ხალხს ამხელა ფანტაზია?! მოდულის შენობაში რატომ უნდა დავებარებინე?! — განაცხადა გეგი ნიჟარაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# პორნოვარსკვლავი რუსეთის საელჩოს წინ გაშიშვლდა




ბრიტანელი პორნომსახიობი სამანტა ბენტლი ლონდონში რუსეთის საელჩოს წინ გაშიშვლდა და ამით კოსმოსში მაიმუნების გაგზავნის წინააღმდეგ გამოხატა პროტესტი. ამ ინფორმაციას არაკომერციული ორგანიზაცია რეტა („ადამიანები ცხოველებთან ეთიკური მოპყრობისთვის“) ავრცელებს.

ორგანიზაციის აქტივისტები როსკოსმოსის პროგრამის წინააღმდეგ გამოდიან, რომლის მიხედვით მიმდინარეობს ოთხი პრიმატის მომზადება 2017 წლისთვის მათი კოსმოსში გასაშვებად.

– თუ ეს ექსპერიმენტი განხორციელდება, რუსეთი კოსმოსური რბოლის ავად მოსაგონარ დღეებს დაუბრუნდება, – განაცხადა რეტას ხელმძღვანელის მოადგილე ელიზა ალენმა.

ბენტლი რუსეთის საელჩოს წინ დაწოლილ პოზაში განთავსდა. ის გაშიშვლდა, ხოლო სხეული მაიმუნის შესაფერისად ჰქონდა შეღებილი, თავზე კოსმონავტის მუზარადი ეხურა. მის გარშემო დაღვრილი იყო ხელოვნური სისხლი. პორნოვარსკვლავს ინტიმურ ადგილებს პლაკატი უფარავდა წარწერით: „მაიმუნები მარსზე: გიგანტური ნახტომია უკან კაცობრიობისთვის“.

თავად სამანტამ განაცხადა, რომ ის როსკოსმოსის გეგმებმა საშინლად შეაშფოთა.

– გათავისებული მაქვს, თუ რამდენად დიდი იქნება ტანჯვა მაიმუნებისთვის, თუ მათ კოსმოსში გააგზავნიან და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, მემოქმედა, – განაცხადა ბენტლიმ.

# ბოუის ფანებმა ღმერთს პეტიციით მიმართეს




დევიდ ბოუის იტალიელმა ფანმა ანდრეა ნატელამ ვებგვერდზე ჩეინჯ წერტილი ორგ შედგინა პეტიცია ღმერთისთვის, რომელშიც ბრიტანელი მუსიკოსის გარდაცვალებას აპროტესტებს.

– უთხარი არა დევიდ ბოუის სიკვდილს, – ნათქვამია მიმართვაში, რომელიც „ღმერთისთვის ან იმისთვისაა განკუთვნილი, ვისაც ეს შეიძლება ეხებოდეს“. ამ მომენტისთვის იტალიელი ფანის მიერ დაწერილ პეტიციას 4,3 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

გარდა ამისა, ვებგვერდზე განთავსებულია კიდევ ერთი პეტიცია, რომელიც საერთაშორისო ასტრონომიული კავშირისთვისაა განკუთვნილი. მისი ავტორი, ბრიტანელი დენიელ ჩერჩილი მოითხოვს, რომ პლანეტა მარსს სახელი გადაარქვან და მუსიკოსის პატივსაცემად მისი სახელი დაერქვას. ამ მიმართვას 1,2 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პოროშენკო: „2016 წელს დონბასზე უკრაინის სუვერენიტეტი აღდგება“



კიევში უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს პრესკონფერენცია შედგა.

პოროშენკომ აღნიშნა, რომ უკრაინა რუსეთთან ვაჭრობაზე არ წავა. დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზე ლაპარაკი მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, რაც რეგიონიდან რუსული არმია გავა, დაიშლება ყველა ბანდფორმირება, შეწყდება სროლა, შეიქმნება პირობები თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

პოროშენკომ ხაზი გაუსვა იმას, რომ საუბარი მინსკის ფორმატის შეცვლასა და მინსკი-3-ზე საფუძველს მოკლებულია.

– უბრალოდ, აუცილებელია არსებული ფორმატის ბოლომდე შესრულება, – თქვა პრეზიდენტმა, – უნდა შევთანხმდეთ, როდის რა გაკეთდება.

პოროშენკომ აუდიტორიას ამცნო, რომ ოპტიმისტურადაა განწყობილი. მისი აზრით, უკრაინა უკვე 2016 წლის ბოლოს შეძლებს დონბასის მთელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღდგენას. აუცილებელია, ყირიმის დაბრუნებაზეც დაიწყოს ზრუნვა, თუმცა ეს რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება.

– წავიდა ის დრო, როცა საუბარი უკრაინული სახელმწიფოს გადარჩენაზე იყო! ახლა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყო. მიმდინარე წლის ბოლომდე დონბასზე უკრაინული დროშა აფრიალდება! ასეთია ჩვენი მიზანი, – თქვა პოროშენკომ.

ექსპერტები თვლიან, რომ უკრაინის პრეზიდენტის საბრძოლო შემართება სანაქებოა, თუმცა 2016 წელს დონბასის იმ სტატუსით დაბრუნება, როგორიც ამ რეგიონს 2012 წელს ჰქონდა, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ექსპერტი ტარას ვოზნიაკი წერს, რომ თუ დონბასს „განსაკუთრებული სტატუსი“ მიენიჭება და ამ სახით ის უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნდება, ეს არა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არამედ სეპარატისტული ანკლავის დაკანონება იქნება. ასეთი „დაბრუნება“ რუსეთის გამარჯვება და უკრაინის მარცხია.

ვოზნიაკის აზრით, დონბასის დაბრუნება რეალურია 2017 წლისთვის, თანაც არა განსაკუთრებული სტატუსის, არამედ, უბრალოდ, დონეცკ-ლუგანსკის ოლქების სახით.

– დრო უკრაინაზე მუშაობს, – წერს ვოზნიაკი – და იმედია, ამას პრეზიდენტი პოროშენკოც აცნობიერებს.




თურქეთმა სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაატარა

სტამბოლის ტერაქტის შემდეგ თურქი ძალოვნები მკვეთრად გააქტიურდნენ. თურქეთის არმიამ ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე სპეციალური ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაატარა და ტერორისტების 500-მდე ობიექტი გაანადგურა.

– მოსპობილია 200-მდე ტერორისტი. ისინი ისლამურ სახელმწიფოს განეკუთვნებოდნენ, – განაცხადა თურქეთის პრემიერმა დავუთოღლუმ.

პრეზიდენტმა ერდოღანმა აღნიშნა, რომ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ თურქული მხარე სიტუაციის გამწვავებას ერიდებოდა და სირიის ტერიტორიაზე რეიდებისაგან თავს იკავებდა.

– სტამბოლის ტერაქტმა ჩვენი მოთმინების ფიალა აავსო, – თქვა პრეზიდენტმა.

ერდოღანმა განაცხადა, რომ მომავალში გამორიცხული არ არის, სირიის ან ერაყის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაციები კვლავაც გამეორდეს.

– ჩვენ არავის და არაფერს მოვერიდებით, – აცხადებს ერდოღანი.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ალამ განაცხადა, რომ დაკავებულია რამდენიმე ტერორისტი, რომლებიც, სავარაუდოდ, ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები არიან.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ყველა მათგანი რუსეთის მოქალაქეა, თუმცა დაკავებულთა ვინაობის დაკონკრეტება არ მოისურვა.

მისი თქმით, სტამბოლის ტერაქტის შემსრულებელი ნაბირ ფედლი თურქეთში სირიიდან ჩამოვიდა.

– ჩვენს ქვეყანაში ის შემოვიდა, როგორც ლტოლვილი. ჩვენც გამოგვეპარა, რომ ფედლი ისლამური სახელმწიფოს მებრძოლი იყო. ის ეჭვმიტანილთა სიაში არ ფიგურირებდა, – თქვა ალამ.


# განცხადებები

**მკურნალობა**

● იყიდება 4-ოთახიანი 100 კვ.მ. ბინა, მე-16 სართულზე, აივნით, ხედით მტკვარზე. ფასი 70 000 დოლარი, მისამართი: ცაბაძის №1, ტელ: 557-64-80-71 ლუბა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.


# ბავარიელმა პოლიტიკოსმა ლტოლვილებიანი ავტობუსი მერკელს გაუგზავნა




ბავარიელმა პოლიტიკოსმა დრეიერმა ლტოლვილებით სავსე ავტობუსი ბერლინში კანცლერ მერკელთან გაგზავნა.

კანცლერის ბრძანებით, ეს ლტოლვილები ბავარიის ტერიტორიაზე უნდა განეთავსებინათ. დრეიერმა მათ სასტუმრო საკუთარი ხარჯებით უქირავა, ერთი ღამე გაათევინა და მეორე დღეს ავტობუსი ბერლინისკენ გაისტუმრა.

ჟურნალისტებმა დააფიქსირეს, როგორ ჩავიდა ავტობუსი ბერლინში და პირდაპირ კანცლერის ოფისთან გაჩერდა.

– ამით მე დავაფიქსირე ჩემი პროტესტი ლტოლვილების უკონტროლო შემოშვების გამო, – განუცხადა ჟურნალისტებს დრეიერმა.

სირიელი ლტოლვილების ნაკადი გერმანიაში არ იკლებს. ეს კი პოლიტიკოსებისა და მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს.


**მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის ფეხებში სიმძიმესა და დაჭიმულობას.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**მოб. ტელ: 599-73-48-21**


# საერთაშორისო სავალუტო ფონდი საბერძნეთის რეფორმებით უკმაყოფილოა



საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა კრისტიან ლაგარდმა განაცხადა, რომ საბერძნეთში რეფორმები არათანმიმდევრულად ტარდება.

მან ათენს მეტი ეფექტურობისკენ მოუწოდა.

– ახლა არ შეიძლება საუბარი ბერძნებისთვის დახმარების ახალი პაკეტის გადაცემაზე, – თქვა ლაგარდმა.

# ჯაკარტის აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ისლამისტმა ექსტრემისტებმა აიღეს



ისლამურმა სახელმწიფომ პასუხისმგებლობა აიღო ჯაკარტის ტერაქტზე.

მის განცხადებაში ნათქვამია, რომ ესაა შურისძიება იმის გამო, რასაც დასავლეთი სირიაში ჩადის.

– შემდგომი ტერაქტებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით განხორციელდება. ევროპისა და აზიის ყველა ქვეყანა, რომლებიც ამერიკელების ჭკუაზე დადიან, სისხლში ჩაიხრჩობიან, – ნათქვამია განცხადებაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ევროპა გერმანიის გარეშე

## სტატისტიკა, ფსონები



ევროპაში ახალი წლის მერე ჩემპიონატები ხურდება, მხოლოდ გერმანია ჯერ არ ჩანს.

მომავალ უქმეებზე ყველაზე საინტერესო მატჩი ინგლისშია – ერთმანეთს ლივერპული და მანჩესტერი დაუპირისპირდებიან. იტალიაში მილანი-ფიორენტინაა, საფრანგეთში – სენტ ეტიენი-ლიონი, მაგრამ არც სხვა მატჩები დატოვებს გულგრილს ფეხბურთის მოყვარულებს.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.01 ტოტენჰემი-სანდერლენდი | 1.33 | 5.0 | 8.0 |
| 16.01 ჩელსი-ევერტონი | 1.8 | 3.6 | 4.5 |
| 16.01 ბორნმუთი-ნორვიჩი | 1.91 | 3.4 | 4.2 |
| 16.01 ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 16.01 სიტი-კრ.პალასი | 1.4 | 4.8 | 7.5 |
| 16.01 საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 3.5 | 5.5 |
| 16.01 ასტონ ვილა-ლესტერი | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 17.01 ლივერპული-მანჩესტერი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 17.01 სტოკი-არსენალი | 4.2 | 3.4 | 1.91 |
| 18.01 სუონსი-უოტფორდი | 2.5 | 3.2 | 2.87 |

**ტოტენჰემი-სანდერლენდი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ-***რაიან მეისონი, კლინტონ მუა ნჯიე, ალექს პრიჩარდი

სანდერლენდი: ***ტრავმ-***ჯეკ როდველი, ადამ მატეუსი, იუნის ქაბული, სებასტიან ლარსონი

**ჩელსი-ევერტონი**

ჩელსი: ***ტრავმ-***ედენ აზარი, რადამელ ფალკაო

ევერტონი: ***ტრავმ-***სამუელ კულემანი, ჯეიმს მაკარტნი, ტიას ბრაუნინგი, ტონი ჰიბერტი

**ბორნმუთი-ნორვიჩი**

ბორნმუთი: ***ტრავმ-***მატ რიჩი, ტოკელო რანტიე, ჯოშია კინგი, კალუმ უილსონი, ტომი ელპიკი, ტაირონ მინგსი, მაქს გრადელი

ნორვიჩი: ***ტრავმ-***არავინ

**ნიუკასლი-ვესტ ჰემი**

ნიუკასლი: ***ტრავმ-***ფლორიან ტაუვინი, კევინ მბაბუ, ვურნონ ატილა, პაპის სისე, მასადიო ჰეიდარა, როლანდო აარონსი, ტიმ კრული, გაბრიელ ობერტანი, სტივენ ტეილორი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ-***ჩეიკუ კუიატე, ენდი კეროლი, მანუელ ლანძინი, ვიქტორ მოსესი, დიაფრა სახო

**სიტი-კრ.პალასი**

სიტი: ***ტრავმ-***ფერნანდინიო, იაია ტურე, ემანუელ მანგალა, ვილფრედ ბონი, ვინსენ კომპანი, სამირ ნასრი

კრ.პალასი: ***ტრავმ-***იანიკ ბოლასიე, დუაიტ გილი

**საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ-***ჯეი როდრიგესი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ-***ვიქტორ ანიშებე

**ასტონ ვილა-ლესტერი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ-***ჯეკ გრელიში, ადამა ტრაორე, ალან ჰატონი, გაბრიელ აგბონლაჰორი, კარლოს სანჩესი, ჯორდან ამავი

ლესტერი: ***ტრავმ-***ჯეფრი შლუპი

**ლივერპული-მანჩესტერი**

ლივერპული: ***ტრავმ-***ფილიპე კოუტინიუ, დივოკ ორიჯი, ჯორდან როსიტერი, მარტინ შკრტელი, დანიელ სტარიჯი, დანი ინგსი, ჯოზეფ გომესი

მანჩესტერი: ***ტრავმ-***ბასტიან შვაინშტაიგერი, ფილ ჯონსი, ნიკ პაუელი, მარკოს როხო, ანტონიო ვალენსია, ლუკ შოუ

**სტოკი-არსენალი**

სტოკი: ***ტრავმ-***ჯეფ კამერონი, შტივენ აირლანდი, მარკ მუნიესა

არსენალი: ***ტრავმ-***სანტი კაზორლა, ალექსის სანჩისი, ტომაშ როსიცკი, დენ უელბეკი, ჯეკ უილშირი

სუონსი-უოტფორდი

**სუონსი: *ტრავმ-*არავინ**

უოტფორდი: ***ტრავმ-***არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 21 | 13 | 4 | 4 | 37-21 | 43 |
| 2.ლესტერი | 21 | 12 | 7 | 2 | 38-25 | 43 |
| 3.სიტი | 21 | 12 | 4 | 5 | 39-21 | 40 |
| 4.ტოტენჰემი | 21 | 9 | 9 | 3 | 34-17 | 36 |
| 5.ვესტ ჰემი | 21 | 9 | 8 | 4 | 33-24 | 35 |
| 6.მანჩესტერი | 21 | 9 | 7 | 5 | 27-20 | 34 |
| 7.სტოკი | 21 | 9 | 5 | 7 | 24-22 | 32 |
| 8.კრ.პალასი | 21 | 9 | 4 | 8 | 23-20 | 31 |
| 9.ლივერპული | 21 | 8 | 7 | 6 | 25-27 | 31 |
| 10.უოტფორდი | 21 | 8 | 5 | 8 | 25-24 | 29 |
| 11.ევერტონი | 21 | 6 | 10 | 5 | 36-29 | 28 |
| 12.საუთჰემპტონი | 21 | 7 | 6 | 8 | 28-24 | 27 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 21 | 7 | 6 | 8 | 22-27 | 27 |
| 14.ჩელსი | 21 | 6 | 6 | 9 | 28-31 | 24 |
| 15.ნორვიჩი | 21 | 6 | 5 | 10 | 24-35 | 23 |
| 16.ბორნმუთი | 21 | 5 | 6 | 10 | 23-37 | 21 |
| 17.სუონსი | 21 | 4 | 7 | 10 | 19-30 | 19 |
| 18.სანდერლენდი | 21 | 5 | 3 | 13 | 26-41 | 18 |
| 19.ნიუკასლი | 21 | 4 | 6 | 11 | 22-38 | 18 |
| 20.ასტონ ვილა | 21 | 2 | 5 | 14 | 17-37 | 11 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.01 სევილია-მალაგა | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 16.01 სელტა-ლევანტე | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 16.01 ვილიარეალი-ბეტისი | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 16.01 სოსიედადი-დეპორტივო | 1.91 | 3.25 | 4.4 |
| 17.01 ვალენსია-რაიო | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 17.01 რეალი-ხიხონი | 1.08 | 11.0 | 23.0 |
| 17.01 ხეტაფე-ესპანიოლი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 17.01 ლას პალმასი-ატლეტიკო | 7.0 | 3.6 | 1.57 |
| 17.01 ბარსელონა-ბილბაო | 1.15 | 7.5 | 17.0 |
| 18.01 ეიბარი-გრანადა | 1.8 | 3.3 | 5.0 |

**სევილია-მალაგა**

სევილია: ***ტრავმ-***მარკო ანდრეოლი, ნიკოლას პარეხა

მალაგა: ***ტრავმ-***ხუან კარლოსი, მიგელ ტორესი

**სელტა-ლევანტე**

სელტა: ***ტრავმ-***ენდრიუ ფონტასი

ლევანტე: ***ტრავმ-***ხოსე მარი, ხუანფრანი, ვიქტორ კასადესუსი; ***დისკვ-***ვერზა

**ვილიარეალი-ბეტისი**

ვილიარეალი: ***ტრავმ-***დანიელე ბონერა, ადრიანი

ბეტისი: ***ტრავმ-***არავინ

**სოსიედადი-დეპორტივო**

სოსიედადი: ***ტრავმ-***სერხიო კანალესი, იმანოლ აგირეჩე, ესტებან გრანერო, დავიდ ზურუტუზა

დეპორტივო: ***ტრავმ-***ცელსო ბორხესი; ***დისკვ-***ალეხანდრო არიბასი

**ვალენსია-რაიო**

ვალენსია: ***ტრავმ-***ენცო პერესი, სოფიან ფეგული

რაიო: ***ტრავმ-***ტონო, რაზვან რაცი, პატრიკ ებერტი

**რეალი-ხიხონი**

რეალი: ***ტრავმ-***არავინ

ხიხონი: ***ტრავმ-***ბერნარდო ესპინოზა, სერხიო ალვარესი

**ხეტაფე-ესპანიოლი**

ხეტაფე: ***ტრავმ-***ემილიანო ბუენდია, ალვარო მადრანი

ესპანიოლი: ***ტრავმ-***ვიქტორ სანჩესი, ხოსე კანასი, ანაიც არბილია; ***დისკვ-***ხავი ლოპესი

**ლას პალმასი-ატლეტიკო**

ლას პალმასი: ***ტრავმ-***ჰერმანი, ხავი კასტელანო; ***დისკვ-***დავიდ სიმონი

ატლეტიკო: ***ტრავმ-***ტიაგო

**ბარსელონა-ბილბაო**

ბარსელონა: ***ტრავმ-***რაფინია

ბილბაო: ***ტრავმ-***რაულ გარსია, იბაი გომესი; ***დისკვ-***არიც ადურისი

**ეიბარი-გრანადა**

ეიბარი: ***ტრავმ-***გონსალო ესკალანტე, მიკელ არუაბარენა; ***დისკვ-***ალექსანდერ პანტიჩი

გრანადა: ***ტრავმ-***არავინ; ***დისკვ-***რუბენ როჩინა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 19 | 14 | 2 | 3 | 27-8 | 44 |
| 2.ბარსელონა | 18 | 13 | 3 | 2 | 44-15 | 42 |
| 3.რეალი | 19 | 12 | 4 | 3 | 52-18 | 40 |
| 4.ვილიარეალი | 19 | 12 | 3 | 4 | 26-16 | 39 |
| 5.სელტა | 19 | 9 | 4 | 6 | 28-27 | 31 |
| 6.ეიბარი | 19 | 8 | 6 | 5 | 27-20 | 30 |
| 7.სევილია | 19 | 8 | 5 | 6 | 26-21 | 29 |
| 8.ბილბაო | 19 | 8 | 4 | 7 | 27-22 | 28 |
| 9.დეპორტივო | 19 | 6 | 9 | 4 | 26-23 | 27 |
| 10.მალაგა | 19 | 6 | 6 | 7 | 14-15 | 24 |
| 11.ვალენსია | 19 | 5 | 8 | 6 | 23-19 | 23 |
| 12.ხეტაფე | 19 | 6 | 5 | 8 | 21-27 | 23 |
| 13.ესპანიოლი | 19 | 6 | 3 | 10 | 17-30 | 21 |
| 14.სოსიედადი | 19 | 5 | 5 | 9 | 22-27 | 20 |
| 15.ბეტისი | 19 | 5 | 5 | 9 | 13-28 | 20 |
| 16.ლას პალმასი | 19 | 4 | 6 | 9 | 19-27 | 18 |
| 17.გრანადა | 19 | 4 | 5 | 10 | 20-36 | 17 |
| 18.ხიხონი | 18 | 4 | 3 | 11 | 16-29 | 15 |
| 19.რაიო | 19 | 4 | 3 | 12 | 21-43 | 15 |
| 20.ლევანტე | 19 | 3 | 5 | 11 | 14-32 | 14 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.01 ატალანტა-ინტერი | 3.6 | 3.25 | 2.1 |
| 16.01 ტორინო-ფროზინონე | 1.28 | 5.0 | 12.0 |
| 16.01 ნაპოლი-სასუოლო | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 17.01 ჯენოა-პალერმო | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 17.01 კარპი-სამპდორია | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 17.01 უდინეზე-იუვენტუსი | 6.5 | 3.8 | 1.55 |
| 17.01 ბოლონია-ლაციო | 3.6 | 3.2 | 2.15 |
| 17.01 კიევო-ემპოლი | 2.6 | 2.9 | 3.0 |
| 17.01 რომა-ვერონა | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 17.01 მილანი-ფიორენტინა | 2.5 | 3.2 | 2.9 |

**ატალანტა-ინტერი**

ატალანტა: ***ტრავმ-***მაურისიო პინილია, კარლოს კარმონა

ინტერი: ***ტრავმ-***ნემანია ვიდიჩი; ***დისკვ-***ფელიპე მელო

**ტორინო-ფროზინონე**

ტორინო: ***ტრავმ-***ჯოელ ობი

ფროზინონე: ***ტრავმ-***არავინ

**ნაპოლი-სასუოლო**

ნაპოლი: ***ტრავმ-***არავინ

სასუოლო: ***ტრავმ-***ემანუელე ტერანოვა; ***დისკვ-***პაოლო კანავარო, დომენიკო ბერარდი

**ჯენოა-პალერმო**

ჯენოა: ***ტრავმ-***არავინ

პალერმო: ***ტრავმ-***რობერტო ვიტიელო

**კარპი-სამპდორია**

კარპი: ***ტრავმ-***იგორ ბუბნიჩი, მატეო ფედელი

სამპდორია: ***ტრავმ-***ლორენცო დე სილვესტრი; ნიკლას მოისანდერი

**უდინეზე-იუვენტუსი**

უდინეზე: ***ტრავმ-***ალექსანდერ მერკელი

იუვენტუსი: ***ტრავმ-***ანდრეა ბარძალი, მარიო ლემინა, რობერტო პერეირა

**ბოლონია-ლაციო**

ბოლონია: ***ტრავმ-***დომენიკო მაიეტა, ფრანკო ბრიენზა, ლუკა რიცო

ლაციო: ***ტრავმ-***სანტიაგო ჯენტილეტი, რიკარდო კაშნა, დუშან ბასტა, ფედერიკო მარკეტი, სენად ლულიჩი, სტეფან დე ვრეი

**კიევო-ემპოლი**

კიევო: ***ტრავმ-***ფედერიკო მატიელო, მარიანო ისკო

ემპოლი: ***ტრავმ-***არავინ

**რომა-ვერონა**

რომა: ***ტრავმ-***სალიჰ უკანი, კევინ სტროოტმანი

ვერონა: ***ტრავმ-***ლუკა სილიგარდი, ეროს პისანო, მიქელანჯელო ალბერტაზი, რომულო

**მილანი-ფიორენტინა**

მილანი: ***ტრავმ-***როდრიგო ელი, დიეგო ლოპესი, ჯერემი მენეზე

ფიორენტინა: ***ტრავმ-***მილან ბადელი; ***დისკვ-***გონსალო როდრიგესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 19 | 12 | 5 | 2 | 38-15 | 41 |
| 2.იუვენტუსი | 19 | 12 | 3 | 4 | 33-15 | 39 |
| 3.ინტერი | 19 | 12 | 3 | 4 | 24-12 | 39 |
| 4.ფიორენტინა | 19 | 12 | 2 | 5 | 37-19 | 38 |
| 5.რომა | 19 | 9 | 7 | 3 | 36-22 | 34 |
| 6.სასუოლო | 18 | 8 | 7 | 3 | 23-17 | 31 |
| 7.ემპოლი | 19 | 9 | 3 | 7 | 24-23 | 30 |
| 8.მილანი | 19 | 8 | 5 | 6 | 25-23 | 29 |
| 9.ლაციო | 19 | 8 | 3 | 8 | 23-27 | 27 |
| 10.კიევო | 19 | 7 | 5 | 7 | 25-21 | 26 |
| 11.ატალანტა | 19 | 7 | 3 | 9 | 20-23 | 24 |
| 12.უდინეზე | 19 | 7 | 3 | 9 | 18-27 | 24 |
| 13.სამპდორია | 19 | 6 | 5 | 8 | 28-30 | 23 |
| 14.ტორინო | 18 | 6 | 4 | 8 | 22-23 | 22 |
| 15.ბოლონია | 19 | 7 | 1 | 11 | 20-25 | 22 |
| 16.პალერმო | 19 | 6 | 3 | 10 | 19-29 | 21 |
| 17.ჯენოა | 19 | 5 | 4 | 10 | 19-26 | 19 |
| 18.ფროზინონე | 19 | 4 | 3 | 12 | 20-41 | 15 |
| 20.კარპი | 19 | 3 | 5 | 11 | 17-34 | 14 |
| 21.ვერონა | 19 | 0 | 8 | 11 | 12-31 | 8 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.01 ტულუზა-პსჟ | 8.0 | 4.5 | 1.4 |
| 16.01 გაზელეკი-რეიმსი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 16.01 ბორდო-ლილი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 16.01 ტრუა-რენი | 3.4 | 3.2 | 2.2 |
| 16.01 გენგამი-ნანტი | 2.37 | 2.9 | 3.4 |
| 16.01 ბასტია-მონპელიე | 2.7 | 3.0 | 2.8 |
| 17.01 ლორიანი-მონაკო | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 17.01 კაენი-მარსელი | 2.9 | 3.25 | 2.45 |
| 17.01 სტ.ეტიენი-ლიონი | 2.62 | 3.25 | 2.7 |

**ტულუზა-პსჟ**

ტულუზა: ***ტრავმ-***პავლე ნინკოვი, ეტიენ დიდო, ჟან-არმელ კანაბიიკი

პსჟ: ***ტრავმ-***სალვატორე სირიგუ

**გაზელეკი-რეიმსი**

გაზელეკი: ***ტრავმ-***ალასანე ტურე

რეიმსი: ***ტრავმ-***ფრედერიკ ბულო, უგო როდრიგესი, გრეიონ კიე, ანტუან კონტე

**ბორდო-ლილი**

ბორდო: ***ტრავმ-***მაქსიმ პაუნდი, ლამინე სანე, ისააკ ტიესე, ადამ უონასი, რობინ მაულუნი, მილან გაიჩი, ჯუსიე, პაბლო, გრეგუარ სერტიჩი

ლილი: ***ტრავმ-***ალექსის არაუიო, მაიკ მაინანი, მარო ბასა

**ტრუა-რენი**

ტრუა: ***ტრავმ-***იოან მარსიალი, მორი კონე

რენი: ***ტრავმ-***პედრო მენდესი, კამილ გრისიცკი, ლუდოვიკ ბაალი, ედსონ მექსე, პოლ-ჯორჯ ნტეპი

**გენგამი-ნანტი**

გენგამი: ***ტრავმ-***დორიან ლევე, მამადუ სამასა, მაქსინ ბაკა

ნანტი: ***ტრავმ-***ემილიანო სალა, ვილფრედ მოიმბე, ვალენტინ რონიე

**ბასტია-მონპელიე**

ბასტია: ***ტრავმ-***ფლოიდ აიტე, კრისტოფერ მაბულუ

მონპელიე: ***ტრავმ-***იორის მავრო, პოლ-ბასტიენ ლასნე, კევინ ბერიგო

**ლორიანი-მონაკო**

ლორიანი: ***ტრავმ-***ბენჯამინ მუკანჯო, მაქსიმ ბარტელმე, მორიკე ფოფანა, ვესლი ლაუტოა, რაფიდინე აბდულა

მონაკო: ***ტრავმ-***უვა ეჩიეჯილე, ალმამი ტურე, ადამა ტრაორე

**კაენი-მარსელი**

კაენი: ***ტრავმ-***ემანუელ იმოროუ, ერვე ბაზილე

მარსელი: ***ტრავმ-***ბოუნა სარი, რემი კაბელა, პაოლო დი ჩელიე, ბენჯამინ მენდი, ბრაის ჯა ჯეჯე, რომან ალესანდრინი, აბუ დიაბი

**სტ.ეტიენი-ლიონი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ-***ბენუა ასოუეკოტო, ლიოკ პერინი, ისმაელ დიამანდე, ფრანსუა კლერკი, კრისტოფერ ბაებეკი, რობერტ ბერიჩი

ლიონი: ***ტრავმ-***მაქსელ კორნე, რაფაელი, მეტიუ ვალბუენა, ნაბილ ფეკირი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 20 | 17 | 3 | 0 | 50-9 | 54 |
| 2.ანჟე | 20 | 9 | 7 | 4 | 19-11 | 34 |
| 3.მონაკო | 20 | 8 | 9 | 3 | 27-25 | 33 |
| 4.ნიცა | 20 | 8 | 6 | 6 | 33-24 | 30 |
| 5.კაენი | 20 | 9 | 3 | 8 | 21-24 | 30 |
| 6.ლიონი | 20 | 8 | 5 | 7 | 27-24 | 29 |
| 7.სტ.ეტიენი | 20 | 9 | 2 | 9 | 23-24 | 29 |
| 8.რენი | 20 | 6 | 10 | 4 | 27-23 | 28 |
| 9.ლორიანი | 20 | 6 | 9 | 5 | 29-28 | 27 |
| 10.ნანტი | 20 | 7 | 6 | 7 | 16-18 | 27 |
| 11.მარსელი | 20 | 6 | 8 | 6 | 28-21 | 26 |
| 12.ბორდო | 20 | 6 | 8 | 6 | 24-28 | 26 |
| 13.ლილი | 20 | 5 | 10 | 5 | 16-14 | 25 |
| 14.გაზელეკი | 20 | 6 | 7 | 7 | 22-24 | 25 |
| 15.მონპელიე | 20 | 6 | 4 | 10 | 22-26 | 22 |
| 16.ბასტია | 20 | 6 | 4 | 10 | 20-26 | 22 |
| 17.რეიმსი | 20 | 5 | 6 | 9 | 20-27 | 21 |
| 18.ტულუზა | 20 | 4 | 8 | 8 | 24-34 | 20 |
| 19.გენგამი | 20 | 5 | 5 | 10 | 17-27 | 20 |
| 20.ტრუა | 20 | 0 | 8 | 12 | 11-39 | 8 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**კალეიდოსკოპი**

## ირლანდიურ სასტუმროში სათამაშო კურდღელს ვიპმიღება მოუწყვეს



ირლანდიურმა სასტუმრომ დავიწყებული სათამაშო კურდღლისთვის ვიპმიღება გამართა. სასტუმროში სათამაშო მის პატარა სტუმარს დარჩა. ფოტოსურათები, რომლებიც სათამაშო კურდღლის თავგადასავლებს ასახავს, სოციალური ქსელების ჰიტად იქცა. ერთ-ერთ სურათზე კურდღელი საწოლშია მოთავსებული, გვერდით კი ტელევიზორის პულტი და სხვადასხვა ნუგბარი უდევს.

– იძულებული ვარ, ამ ღამეს სასტუმროში დავრჩე. იმედი მაქვს, ჩემი პატრონი ხვალ მომაკითხავს და წამიყვანს, – ეწერა სურათისთვის დართულ წარწერაში.

მეორე დღეს კურდღელი თაყვანისმცემლების წინაშე თვალებზე კიტრის ნაჭრებაფარებული წარდგა, გვერდით ადგილობრივი გაზეთი ედო, ქვეშ კი ეწერა: „სადილის წინ ვისვენებ". გარდა ამისა, კურდღელს სპამომსახურებაც შესთავაზეს. საბოლოოდ სათამაშო კურდღლის პატრონს მიაგნეს. ის კეიტ ჰოგანი აღმოჩნდა.

**ქ. ხ.**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 18 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. **"ჩემო ძვირფასო"** 14.05 "მუსიკალოგოსი" 14.30 ან./ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"ლორენცოს ზეთი"** (ს.სარანდონი)

08.00 დ/ფ "ალენ ბაშუნგი" 09.00 მხ/ფ **"სასახლის არომატები"** 10.30 დ/ფ "სტამბოლი" 11.00 ქართ. მხ/ფ **"შერეკილები"** 12.30 დ/ფ "მადაგასკარი" 13.50 დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. **"ორი ბედი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"ოცი წუთი"** 11.20 სერ. **"კონტრაქტის პირობები"** 3 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"დაკარგული ედემი"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 იუმორინა – 2015 00.00 მხ/ფ **"შეუსრულებელი მისია"** (ჯ.ვოიტი) 02.10 მხ/ფ **"საძაგელი გოგონები"** (რ.მაკადამსი) 03.45 ერთხელ საქართველოში 04.15 მხ/ფ **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (ა.ბოლდუინი)

06.00, 19.55 სერ. **"აღთქმა"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** 22.00 ნიჭიერი 23.30 სერ. **"სიტრუსის თეორია"** ს1 (სეზ.3) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.30, 19.00 საინფორმაციო. გამოშვება. მსოფლიო. ამბები. (გამეორება) 09.00 ან/სერ. "ავატარი. ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი" 09.30, 19.30 სერ. **"ჯონათან. სტრეინჯი. და. მისტერ. ნორელი"** 10.30 ვიდეოპედია 11.30 შუადღე 14.00, 18.00 სერ. **"ახალი გოგო"**. 14.30, 18.30 სერ. **"ცენტრი"** 15.00 ან/სერ. ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ 16.00 Discovery ამერიკა ფაქტები და გამოგონები 17.00 არჩიე კაბა 20.30 20.30 22.00 მზარეულები 22.30 მხ/ფ 00.50, 02.45 URBAN STORIES 01.45, 03.35 ვიდეოპედია 04.30 შუადღე. (გამეორება) 07.00 20.30. (გამეორება)

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერის ევლოგია 06.35 პატრიკი 06.45 ქართული ალბომი 07.20 დ/ფ "მიწის სჯული" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"საბუდარელი ჭაბუკი"** 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კალიუმი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი **"ერთი რამის სიყვარული დაგღუპავს, როდ სტირდება"** 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-წყალკურთხევა 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის ლოტერი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 საუფლო-ნათლისღება-განცხადება უფლისა 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატრიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 საქართველოს სამართლის ისტორია 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-იოანე წინასწარმეტყველი I ნაწ. 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო-წყალკურთხევა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 დ/ფ ხომლი-ფშავ-ხევსურეთი" II ნაწ. 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ყოჩაღი ბიჭები" (ქუქსპრესიათ) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. **"სავსე სახლი"** 11.05 სერ. **"ქუჩის და ბუნი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.00 სერ. **"ტატიანა"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო "პულსი" 16.05, 17.05 სერ. **"ჩვენ გვერდით"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. **"ბერძენი ქალი"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ყველაფერი ახლა იწყება"** 21.30 თოქ-შოუ "მაქსტრის ფაქტორი" 22.30 სერ. **"ეკატერინა"**

## სამშაბათი 19 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.00 "ნათლისღება" (პ/ტრ სამების ტაძრიდან) 13.00 ტ/სერ. **"ჩემო ძვირფასო"** 14.05 "მუზეუმები" 14.30 ან./ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.45 "ეპოქის ფრაგმენტი" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 23.00 ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"ბორნის უპირატესობა"** (მ.დეიმონი) 03.10 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში"

08.00, 16.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 "გეოფაქტორი" 09.10 "აფხაზეთი" 10.00 "ნათლისღება" 13.50 წყალბურთი – ევრო-2016 17.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. **"ორი ბედი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"ოცი წუთი"** 11.20 სერ. **"კონტრაქტის პირობები"** 4 სერ. 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. **"დაკარგული ედემი"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ – 4"** 23.00 სუპიშვილები – 70 00.45 მხ/ფ **"წყნარი ყურე"** 03.00 ერთხელ საქართველოში 04.05 მხ/ფ **"სამედიცინო ნიშნები"** (ჩ.კენტერბერი)

06.00, 19.55 სერ. **"აღთქმა"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ნიჭიერი 23.30 სერ. **"სიტრუსის თეორია"** ს2 (სეზ.3) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

